ლელო

№ 34
(11 183)

2 – 5 მაისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ქართველი პოლკოვნიკი და ვიცე-პოლკოვნიკი პანამერიკის ჩემპიონები

სამბო • ღია ჩემპიონატი

ისე მოხდა, რომ სამბოს ქართველმა ოსტატებმა აპრილის ბოლო დეკადაში მსოფლიოში ორ ყველაზე ავტორიტეტულ შეჯიბრებაში იასპარეზეს. ლიტვის ქალაქ შაულიაიში ჩვენი სამი ნაკრების ბრწყინვალე წარმატების შესახებ „ლელო“ წინა ნომერში იტყობინებოდა. ახლა კი რედაქციაში გვეწვივნენ აშშ-დან დაბრუნებული ის სამბისტები, რომლებიც ნიუჯერსის შტატის ქალაქ ნევარკში გამართულ პანამერიკულ ღია ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ტურნირის ავტორიტეტის ასამაღლებლად ევროპისა და აზიის 10 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, ბულგარეთი, რუსეთი (2), უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი, ბელგია, სამხრეთ კორეა) რჩეული ათლეტები მიიწვიეს. ტურნირი ცოტა უცნაური პროგრამით ჩატარდა — ახალგაზრდებმა ცალკე იასპარეზეს, ზრდადასრულმა და ვეტერანებმა კი — ერთად. ასე რომ, ხალიჩაზე 20-25 და 50-60 წლის სამბისტები ერკინებოდნენ ერთმანეთს. ტურნირის მასპინძლებს მიუჩნევიათ, რომ დაძაბუნებული ვეტერანი ვერ გაბედავს გავიდეს თავისზე 20-30 წლით უმცროსთან საპაექროდ, ვისაც თავისი იმედი აქვს, გამოცდილებით შეუძლია ჭაბუკებთან ბრძოლაში მიაღწიოს კომპენსაციას, თანაც ინტერესი დიდია — მაყურებელს იქ თურმე ძალიან იზიდავს ასეთი, ერთი შეხედვით უთანასწორო, მაგრამ სპორტულად თანასწორთა პაექრობა.

ჯერ ახალგაზრდების ტურნირზე ვთქვათ. ისე როგორც შარშან, ამჯერადაც ძალზე შთამბეჭდავად და რაინდულად მოიგო შეხვედრები და ზედიზედ მეორედ მოიპოვა ბრწყინვალე წარმატება, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორმა (ახალგაზრდებში) გიორგი ჩხაიძემ (68 კგ). მან ფინალური ორთაბრძოლა. იაპონელს 6 ქულით მოუგო და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებულთა და ვეტერანთა პაექრობაში თავი გამოიჩინა სსრ კავშირის ჩემპიონმა და მრავალგზის პრიზიორმა უშანგი ყურაშვილმა (74). გადამწყვეტ ბრძოლაში მან ამერიკელ რუს ვალერი ივლევს სძლია და პირველობა მოიპოვა. ასაკის მიუხედავად, კვლავ ისახელა თავი ვეტერანებში მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ჩემპიონმა, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელმა პოლკოვნიკმა ზაურ სახვაძემ (82). ზაურმა ზედიზედ მოიგო ხუთი შეხვედრა და ფინალში ბულგარელ ტოდოროვთან დადგა პირისპირ. აქ კი ჩვეული ოსტატობით და სიმარდით ჩაატარა ორთაბრძოლა და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონობა. მაყურებელმა ოვაციით გააცილა ხალიჩიდან უბერებელი ფალავანი. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელის ანზორ ზურაბაულის ვაჟკაცურმა შეხვედრებმა მეტოქეებთან. ფინალში მისი მეტოქეც ბულგარელი იყო (მუსტაფოვი). ჩვენმა ფალავანმა ყველას დაუმტკიცა, რომ მწვრთნელი ხალიჩის რაინდიცაა. მეტოქეს ისღა დარჩენოდა წარმატება, ოქროს მედალი და ჩემპიონობა მიელოცა ქართველი მეგობრისთვის.

მძიმე წონის ფალავანთა შერკინებას ჭიდაობის ყველა სახეობაში განსაკუთრებული ინტერესით მოელის მაყურებელი. ცხადია, ასე იყო ამჯერადაც. ჩვენი ნაკრების ღირსებას ამ წონაში იცავდა, ვეტერანებში მსოფლიო ჩემპიონი, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულობასთან მებრძოლი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ვიცე-პოლკოვნიკი ოთარ ყურაშვილი. ფინალამდე იგი ოთხი გამარჯვებით მივიდა და რუსეთელ კარაცოვთან გადამწყვეტი შერკინებაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მისმა ოსტატობამ და ქინიანმა ბრძოლამ გამარჯვებისთვის აღაფრთოვანა მაყურებელი. საქართველოს ნაკრებმა (სულ 11 წევრი) იმდენად ამაღლებული შთაბეჭდილება დატოვა, რომ მასპინძლებმა ჩვენებს აშშ-ს ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ე.წ. გუნდი-გუნდთან! შესთავაზეს. ქართველებმა გამოწვევა მიიღეს და მატჩი თავიანთ სასარგებლოდ 5:3 დაამთავრეს.



მარცხნიდან: დგანან – ანზორ ზურაბაული, ოთარ ყურაშვილი, გიორგი ჩხაიძე; პირველ რიგში – უშანგი ყურაშვილი, ზაურ სახვაძე.



# კალათბურთი. ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. მეორე შეხვედრები

**მესამე ადგილისათვის: სდასუ (თბილისი) – დინამო (თბილისი) 76:75 (2-0)**

*სდასუ:* გ. ჩხეიძე (2), რ. ჩხეიძე (14), სანაძე (37), ნაცვლიშვილი (4), ოთიურიძე (6), მუშკუდიანი (3), ჩერქეზიშვილი (5), ახობაძე (5).

*დინამო:* მაისურაძე (8), ნათაძე (10), მეჭურჭლიშვილი (6), ბეჟანიშვილი (12), კოლაძე (29), ჩიქოვანი, ნინიაშვილი (10).

სდასუმ მეორე შეხვედრაშიც იმარჯვა და კარგი შანსი გაუჩნდა მესამე ადგილის მოსაპოვებლად. ამჯერად მის რიგებში გამოჩნდა ისრაელმოვლილი რეზო ჩხეიძე, რომელმაც არცთუ ისე დამაჯერებლად ჩაატარა შეხვედრა. ეტყობა, საქართველოს ნაკრების წევრი ფორმაში არ არის. კვლავ გამოირჩეოდა გია სანაძე, რომელმაც ბრწყინვალედ წარმართა შეხვედრა და გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„დინამომ“ პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით მატჩი კარგად წარმართა. მხოლოდ ქულით დამარცხდა, მაგრამ მთელი პირველი ნახევარი წინ იყო. მომენტში 20 ქულითაც დაწინაურდა. მაგრამ სდასუმ აქტიური, შემტევი თამაშის წყალობით ეს დეფიციტი სხვაობაში ნელნელა აღმოფხვრა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**ფინალი: ვითა (თბილისი) – აზოტი (რუსთავი) 91:81 (1-1)**

*ვითა:* აბრამიძე (25), ტურაშვილი (8), დავითულიანი (10), ორმოცაძე (4), კორძაძე (5), გაგნიძე (6), ლოსაბერიძე (2), კოკოლიშვილი (15), ჩუბინიძე (16).

*აზოტი:* გაბისონია, გოგიბერიშვილი (14), წიკლაური (10), ბოისა (10), ჯაფარიძე (22), კეჭაყმაძე (2), ბერუაშვილი (17), კიკვიძე (6), ჩაჩუა.

„ვითამ“ აქტიურად, სწრაფ ტემპში დაიწყო თამაში და შეიძლება ითქვას ნაწილობრივ ამ ფაქტორის ხარჯზეც გაიმარჯვა. მაგრამ შეხვედრის დებიუტშივე რუსთაველები დაწინაურდნენ, ჯაფარიძის ზუსტი სროლების წყალობით მესამე წუთზე „აზოტი“ 5 ქულით გაიჭრა წინ. ამ დროისათვის „ვითა“ ცდილობდა ანგარიშის შემცირებას, მაგრამ გუნდში პანიკამ დაისადგურა. ხშირად არ გამოსდიოდათ ზუსტი პასები, ის კი არა, კორძაძე ელემენტარულ სიტუაციაში ცდებოდა. რუსთაველებმა 8-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. სწორედ ამ დროს მათმა გამთამაშებელმა გაბისონიამ ტრავმის გამო დატოვა მოედანი. ეს დიდი დანაკლისი იყო რუსთაველებისათვის. სწორედ აქედან დაიწყო მათი დაღმასვლა. თბილისელმა კალათბურთელებმა თამაშის „სადავეები“ ხელთ იგდეს და წინაც გაიჭრნენ. შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელი უთუოდ აბრამიძე იყო, რომელმაც დაცვაში კარგი თამაშით დიდი როლი შეასრულა გუნდის წარმატებაში.

გოგა ლომიძე

# საქართველო და ლიტვა – ოლიმპიური მეგობრობა

ლიტვამ და საქართველომ ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის წლებში, პირველებმა, შექმნეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და რა გასაკვირია, რომ იმ პერიოდში ფეხქაყრილი ოლიმპიური მეგობრობა დღეს სრულყოფისაკენ, მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისაკენ ისწრაფვოდეს. სწორედ ამ მიზნით სტუმრობდა ამ დღეებში სეოკს ლიტვის ეოკის პრეზიდენტი, ევროპის ეოკების ასოციაციის წევრი, არტურას პავილუნასი და ლიტვის ეოკის გენერალური მდივანი პეტრას სტატუტა.

სტუმრები შეხვდნენ, აგრეთვე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს. გასულ ხუთშაბათს კი ეოკში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. ამიერიდან არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეოკები, არამედ მათი მეშვეობით სპორტული ფედერაციებიც დაამყარებენ ურთიერთსასარგებლო კავშირებს. ეს შეეხება სპორტული ბაზების გამოყენებას, სასწავლო შეკრებებს, ამხანაგურ შეხვედრებს, კადრების მომზადებას, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობას.

— ჩვენ პოტენციური სპორტული მეტოქეები ვართ საერთაშორისო არენაზე, მაგრამ ლიტველებს გვახარებს და მუდამ გავიხარებთ თქვენი წარმატებებით — თქვა არტურას პავილუნასმა სეოკის ხელმძღვანელებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. სტუმრებმა ჟურნალისტებს აუწყეს იმის შესახებ, რომ ლიტვის ეოკს არანაირ ფინანსურ დახმარებას არ უწევს სახელმწიფო, პირიქით, ეოკი სპორტის სახელმწიფო მმართველ ორგანოს ყოველწლიურად მილიონ დოლარს უხდის სპორტის განვითარებისათვის ქვეყანაში. შემოსავლები კი ეოკს კარგად ორგანიზებული კომერციული საქმიანობიდან და ლატარიებიდან ჰქონია. სეოკის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

„ლელო“ – „გუმათი“

# წრე შეიკრა – „დინამოში“ ხურცილავა მოვიდა...

თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად მურთაზ ხურცილავას მოსვლა მოულოდნელობა, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. კულუარებში ხომ კარგა ხანია ამაზე ლაპარაკობდნენ და, როგორც იქნა, მითქმა-მოთქმას წერტილი დაესვა.

ხურცილავას „დინამოს“ თავკაცად დანიშვნას ბევრი საინტერესო დატვირთვაც აქვს, რაც, ალბათ, ცოტა ხანში გამოაშკარავდება. მურთაზ ხურცილავა მხოლოდ სახელი და ავტორიტეტი არ გახლავთ. ის მებრძოლი და უმსგავსოებასთან შეურიგებელი კაცია, რაც ასე ძალიან ესაჭიროება დღეს ქართულ ფეხბურთს.

მურთაზ ხურცილავას ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი თვით დავით ყიფიანი გახლდათ (ამის შესახებ „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ და გუნდის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა გვითხრეს). „ხურცილავას ყველანაირი უფლება აქვს, მორალური, კაცური, რომ თბილისის „დინამოს“ ჩაუდგეს სათავეში“ – განაცხადა ყიფიანმა, რომელმაც კარგი შეფასება მისცა ნოდარ აკობიას მიერ გაწეულ მუშაობას – აკობიამ ხომ უაღრესად პრინციპულ მატჩში „დილასთან“ ბრწყინვალედ გაართვა თავი მწვრთნელის მოვალეობას. „ხურცილავას მოსვლას „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად მეც მივესალმები და ყველანაირად მხარში ამოვუდგები“ – თქვა ნოდარ აკობიამ.

რაც შეეხება დავით ყიფიანის საქმიანობას, ის კვლავინდებურად თბილისის „დინამოში“ გააგრძელებს მუშაობას – იგი კლუბის დირექტორატის წევრი იქნება. შეკითხვას, აპირებს თუ არა იგი თავისი კანდიდატურის წამოყენებას სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე, ყიფიანმა შემდეგნაირად უპასუხა: „მინდა ახლავე ყველაფერს ნათელი მოეფინოს – ჩემს კანდიდატურას სფფ-ს პრეზიდენტობაზე არ წამოვაყენებ, მხარს დავუჭერ მხოლოდ მერაბ ჟორდანიას, თუ, რა თქმა უნდა, ის მოისურვებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას. მარტო ავტორიტეტითა და სახელით შორს ვერ წავალთ. ქართულ ფეხბურთს მხოლოდ ახალგაზრდობა და ფინანსები გადაარჩენს. მერაბი არის ახალგაზრდა კაცი, ფიფას ქვეკომისიის წევრი და ამ კაცში პოტენციას ვხედავ. ისე კი, ნოდარ ახალკაცის შემდეგ სფფ-ს პრეზიდენტობა ძალიან ძნელი რამ არის. ნოდარ ახალკაცს უარყოფითის გარდა, ბევრი დადებითი ჰქონდა და ქართული ფეხბურთის წინაშე დიდი ამაგი აქვს. რაც შემეხება მე, სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი საქმე არაა მოხელეობა, ქაღალდების ქექვა – ჩემი სტიქია ბურთი და მოედანია. შესვენების შემდეგ კვლავ ვაპირებ დავუბრუნდე მწვრთნელობას. ახლა კი ექიმების რჩევით დასვენება მესაჭიროება. მოგეხსენებათ შვიდი წლის უკან თავის რთული ოპერაცია გადავიტანე და ამდენი ნერვიულობისგან მართლაც მჭირდება რამდენიმე ხნით გარიდება“.

რომან შოთაძემ გვამცნო, რომ მურთაზ ხურცილავასთან კლუბს კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. სავარაუდოდ 2-წლიანი ხელშეკრულება დაიდება 1+1-ის პრინციპით, თბილისის „დინამოს“ მთავარ ამოცანად კი კვლავინდებურად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა.

„ჩემი ამოცანა იქნება, რომ „დინამოს“ ფეხბურთელებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ. ყველა დინამოელს შეუძლია თამაშს მოუმატოს, მაგრამ საქმეს არასერიოზულად ეკიდებიან. თბილისის „დინამოში“ იმიტომ მოვედი, რომ ერთი ინტერესი მაქვს – საქართველოს ჰქონდეს ფეხბურთი“ – განაცხადა მურთაზ ხურცილავამ.

პრესკონფერენცია მეტად შინაურულ ატმოსფეროში ჩატარდა, დავით ყიფიანმა და მურთაზ ხურცილავამ გულახდილად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ისაუბრეს ქართული ფეხბურთის მძიმე მდგომარეობაზე, მასში არსებულ უმსგავსოებებსა და პრობლემებზე. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ქართული ფეხბურთის სარევოლუციო სარეველებისგან განწმენდის ჟამი მოახლოვდა, ნაღდი საქმის კეთება ღირსეულთ მოუწევთ, რომელთა რიგები უკვე ოფიციალურად შეავსო მურთაზ ხურცილავამ. თუმცა, ვნახოთ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ცხელი გულითა და ცივი გონებით მივუდგეთ იმას, რასაც ქართული ფეხბურთის გადამწყვეტი მომენტი ჰქვია.

დათო თავართქილაძე



მარცხნიდან: დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, ნოდარ აკობია – ისინი კვლავ ერთ გუნდში არიან

# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი, XXV ტური

ლოკომოტივი (თბილისი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-2
მაღაროელი (ჭიათურა) – სამგურალი (წყალტუბო) 1-1
სიონი (ბოლნისი) დინამო (თბილისი) 0-4
უნივერსიტეტი (თბილისი) – დილა (გორი) 0-2
დინამო (ბათუმი) – მერანი-91 (თბილისი) 0-0
კოლხეთი-1913 (ფოთი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 3-0
გურია (ლანჩხუთი) – რუსთავი 1-1
ოდიში (ზუგდიდი) – ტორპედო (ქუთაისი) 0-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 24 | 20 | 2 | 2 | 69-12 | 57 |
| დინამო (ბთ.) | 25 | 15 | 6 | 4 | 53-17 | 51 |
| კოლხ.-1913 | 25 | 15 | 5 | 5 | 48-19 | 50 |
| ტორპედო | 25 | 13 | 8 | 4 | 40-20 | 47 |
| ოდიში | 24 | 13 | 4 | 7 | 35-36 | 43 |
| თსუ | 25 | 11 | 6 | 8 | 32-23 | 39 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 7 | 8 | 30-32 | 37 |
| მერანი-91 | 25 | 10 | 7 | 8 | 32-30 | 32 |
| დილა | 25 | 9 | 4 | 12 | 23-29 | 31 |
| ვიტ-ჯორჯია | 25 | 6 | 9 | 10 | 22-30 | 27 |
| სიონი | 25 | 8 | 6 | 11 | 36-36 | 25 |
| რუსთავი | 24 | 7 | 3 | 14 | 22-37 | 24 |
| სამგურალი | 25 | 6 | 6 | 13 | 23-46 | 24 |
| გურია | 25 | 4 | 8 | 13 | 24-48 | 20 |
| მაღაროელი | 24 | 4 | 5 | 15 | 20-51 | 17 |
| მარგვეთი | 25 | 1 | 6 | 18 | 17-62 | 9 |

*შეგახსენებთ: „დინამოს“ (თბ.), „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა*

# შავი ზღვის თამაშებს რაგბიც შეემატა და ჩვენც იქა ვართ!

ამიერიდან შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდები რაგბშიც შეეცილებიან პირველობას. ცხადია, მიწვევა საქართველოს გუნდმაც მიიღო და ჩვენები უკვე გაემგზავრნენ კიევში. აღსანიშნავია, რომ რუმინეთი ამ ტურნირის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, პირდაპირ მიზეზს თურმე არ ასახელებდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ იქ, სადაც საქართველოს ნაკრები გამოდის, რუმინელთა იმიჯს შეიძლება ჩრდილი მიადგეს. ამ რეგიონში ხომ ჩვენებს თითქმის არ ჰყავთ ბადალი. ასე რომ, რუმინელებს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდათ და საერთაშორისო ფედერაციაში (ირბი) რუმინელთა რეგიონულ ჰეგემონიას აშკარა საფრთხე ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ შარშან რუმინელებმა მოსინჯეს ჩვენი ძალა, სტუმრად ჩამოვიდნენ საქართველოში და სამი შეხვედრიდან ორი წააგეს.

„ლელო“-„გუმათი“

## სპორტი ყველასათვის

# მშდ „პოლიატლონის“ ნაცვლად, როცა სხვა არაფერი გვაქვს, ესეც კარგია

### ჭიათურაში ცხოვრების აღორძინება სპორტის აღორძინებით დაიწყო, რაც ქალაქის მერის დავით ივანიშვილის დამსახურებაა





დღეს საქართველოში ბევრგან არ ეთმობა სპორტული ბაზების განახლებას ისეთი ყურადღება, როგორც ჭიათურაში. ჩანაფიქრი გასაგებია — სპორტული ცხოვრება ვერ აღორძინდება სპორტულ ობიექტებზე წვრთნა-ვარჯიშისა და შეჯიბრებების ჩატარებისათვის ნორმალური პირობების შექმნის გარეშე. სპორტი კი ისეთი იმპულსია, ხალხს ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნების რწმენას რომ უნერგავს, ამა თუ იმ ქალაქში თუ რაიონში საყოველთაო გამოცოცხლებას რომ იწვევს.

ჭიათურა ამ მხრივ რომ სამაგალითოდ გამოიყურება, აშკარად დაადასტურა „პოლიატლონის“ პროგრამით წვევანდელთათვის საქართველოს პირად-გუნდურმა პირველობის ფინალმა, რომელიც ჭიათურაში ჩატარდა ამ დღეებში. მასპინძლები საგანგებოდ მოემზადნენ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად: კეთილმოეწყო სტადიონი, ტირი, ამუშავდა საცურაო აუზი, სხვა სპორტული ობიექტები, ამიერიდან მწყობრშია სასტუმროც.

წვევამდელთა ფიზიკური მომზადება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო ყოველთვის და იგი დღეს უფრო მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ქვეყნისთვის. პირდაპირ უნდა ითქვას — ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ხელისუფლება სერიოზულად ეკიდება ქართულ არმიაში გასაწვევი ახალგაზრდების ფიზიკურ მომზადებას. ჭიათურაში, რჩეულთა შორის რჩეულთა ასპარეზობაზე ჩავიდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილეები ჯემალ ჭუმბურიძე და თამაზ დუმბაძე, საქართველოს სამხედრო კომისარი ნოდარ თათარაშვილი და მისი მოადგილე მიხეილ ქემოკლიძე, სახელმწიფო კანცელარიის რეფერენტი ზაზა ინწკირველი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტის პრეზიდენტი მურთაზ მნათობიშვილი, ამავე დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ნარგიზა მესხი. მათმა სტუმრობამ, ცხადია, აამაღლა ასპარეზობის ავტორიტეტი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მათ საკუთარი თვალით ნახეს ყველაფერი, რაც დადებითი და უარყოფითი ჰქონდა ამ ღონისძიებას, ამასთან, პირადად მონაწილეობდნენ გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოებაში.

> **დაჯილდოება**
>
> **საქართველოში სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მხარდაჭერისათვის ქ. ჭიათურის მერი *დავით ივანიშვილი* სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის *საპატიო სიგელით* დაჯილდოვდა.**

დავძენთ, რომ „პოლიატლონი“ თავისი პროგრამით თითქმის ყოფილი მშდ კომპლექსის ანალოგიურია, ოლონდ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ შეიძლება დაემატოს პროგრამას, ვთქვათ ღერძზე მიზიდვა? წვევამდელთათვის ეს ხომ ძალზე მნიშვნელოვანია, უცხოურს თუ ჩვენი მომავალი ჯარისკაცების მომზადებას ვუსადაგებთ, კორექტივსაც ნუ მოვერიდებით, მსოფლიო არენაზე (საქართველო „პოლიატლონში“ მსოფლიო ასოციაციის წევრია) კი იმ პროგრამით ვიასპარეზოთ, რასაც მოითხოვენ.

ჭიათურაში ფინალური შეჯიბრების მომზადება-ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი ნუხა გაგოშიძე).

პირად პირველობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისელმა **რამაზ ბექაურმა** (ვაკის რაიონი), **გიორგი გაგუამ** (აჭარა) და **დათო ჭეხაშვილმა** (დიდუბე). გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: **1. თბილისის დიდუბის რაიონი — 1163 ქულა, 2. აჭარა — 947, 3. თბილისის ვაკის რაიონი — 931, 4. იმერეთის მხარე — 832, 5. ჭიათურა — 758, 6. სამეგრელო-ზემო სვანეთის ნაკრები. 674, 7. სამცხე-ჯავახეთი — 658, 8. კახეთის სამხარეო ნაკრები — 638, 9. ქვემო ქართლი — 568, 10. გურიის მხარე — 528, 11. მცხეთა — მთიანეთის ნაკრები — 501, 12. აფხაზეთის ნაკრები — 479, 12. ქვემო ქართლი — 344, 14. რაჭა-ლეჩხუმი — 133.**

„ლელოს“ კორ.,
ჭიათურა

# „ერთგულების თასი-98“

ამ ტრადიციულ შეჯიბრებას, რომელიც ამჯერად მეთვრამეტედ ჩატარდა, ჯერ კიდევ ადრე, მისმა მონაწილეებმა „ლექსოს კროსი“ შეარქვეს და ასეც დამკვიდრდა. კროსს, რომელშიაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მძლეოსნები მონაწილეობდნენ, ამჯერად ვაკის პარკმა უმასპინძლა. სტარტზე 120 (მათგან 47 ქალი იყო) მონაწილე გამოვიდა და ფაქტობრივად ეს იყო საქართველოს კროსმენთა არაოფიციალური პირველობა. ეს კროსი ტრადიციულად ეძღვნება რბენის მოყვარულთა კლუბ „კუს“ ერთ-ერთი დამაარსებლის რკინიგზელთა ფიზკულტურის დისპანსერის ყოფილი ექიმის მერაბ თავდიშვილის ხსოვნას. ამჯერად კი მეორედ გათამაშდა რბენის ცნობილი ენთუზიასტის გურამ ნიკოლაიშვილის ხსოვნის პრიზიც.

უნდა ითქვას, რომ სპონსორებს არც ამჯერად გამოუჩენიათ სიძუნწე. გამარჯვებულები და პრიზიორები, აგრეთვე, მსაჯები მათ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს და ფულადი დახმარებაც გაიღეს. ეს ფირმებია: „ელიზი“ (მთავარი სპონსორი), „ნიუვეისი“, „დობრა“, ცალკეული პიროვნებები — ლევან ანანიაშვილი, ძმები ზურაბ და თორნიკე ნიკოლაიშვილები, ზაალ გიგინეიშვილი. სპონსორთა ასეთმა მხარდაჭერამ გაზარდა კროსის ინტერესი და მონაწილეებიც თავგამოდებით იბრძოდნენ წარმატებისთვის, და, რაც ყველაზე გასახარია, დაიწყო ნიჭიერ მორბენალთა წარმოჩენა, ამჯერად თავი დაგვამახსოვრა ვანელმა გიული დეკანაძემ და ახმეტელმა არსენ ხააძემ. ყველაზე საუკეთესო შედეგისთვის „ერთგულების თასით“ დაჯილდოვდნენ ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინი და ჭიათურელი სოფიკო გობოზოვა.

**კვარცხლბეკი:** ***ქალები:*** ქეთინო აბრამიძე — 22.26, 2. ალინა ლაცაბიძე (ორივე — ვანი) — 22.31, 3. ლიზა ბურნაძე (თბილისი) — 26.15. ***ვაჟები:*** 1. ზიგფრიდ ზილბერშტეინი (ახალციხე) — 16.20, 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი), 3. რამაზ ჩადუნელი (ბორჯომი). ***ვეტერანი ვაჟები:*** 1. შალვა ნადირაძე (თეთრი წყარო) — 17.31, 2. გიორგი ხარაზიშვილი — 18.19, 3. ვალერი გედევანიშვილი (ორივე — თბილისი) — 18.33. ***უფროსკლასელი გოგონები:*** 1. სოფიკო გობოზოვა — 20.16, 2. თეა მოდებაძე — 20.52, 3. ნანა გუთნაძე — 20.59. ***ჭაბუკები:*** 1. ალექსანდრე ზაკოლმოდინი — 17.53, 2. ერიკ კიურიქჩიანი — 18.27. 3.მიხეილ მაისურაძე — 18.46. ***უფროსი ასაკის გოგონები:*** 1. გიული დეკანაძე — 21.53, 2. ნანა ქვლივიძე — 22.27, 3. ეკა სანიკიძე — 22.34. ***ჭაბუკები:*** 1. არსენ ხააძე, 2. არტემ მელიქოვი, 3. დავით გილაშვილი.

სპეციალური პრიზი გადაეცათ 7 წლის (ყველაზე უმცროსები) ლაზარე კუხალეიშვილს და ვალერი ლაფერიშვილს, ყველაზე უხუცეს მონაწილეს — გიორგი სტრომეტსკის.

ჯუმბერ ხუბუა,
მთავარი მსაჯი



ერთ-ერთი ბარბენი ვაკის პარკში

### ქართული სპორტის და ტურიზმის პრობლემები ქართულ პრესაში

## თითო აბზაცით

... „მინდა ბიზნესმენებსაც მოვუწოდო, რათა მათ უშიშრად ფული დააბანდონ ფეხბურთში. დარწმუნებული ვარ, ჩადებული თანხა სულ მოკლე დროში ორმაგად და სამმაგად უკანვე დაუბრუნდებათ“,

ვახტანგ კოპალეიშვილი,
„საქართველოს სპორტი“, № 105.

●

„ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი და ორგზის ევროპის ჩემპიონი გიორგი ვაზაგაშვილი ნაკრებში დაბრუნებაზე უარს ამბობენ“.

„ოლიმპიელი“, №4.

●

„ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას არ ესმის, არ უნდა გაიგოს სპორტის მნიშვნელობა“.

„ოლიმპიელი“, №4

●

„სრული განუკითხაობაა ტურისტულ მარშრუტებში. ადრე საქართველოზე 35 საერთაშორისო და 88 შიდა ტურისტული მარშრუტი გადიოდა. გვქონდა 300-მდე საექსკურსიო მარშრუტი... ევროგაერთიანებაში საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევით, უკვე გადაწყვეტილია საქართველოში ტურიზმის აღორძინებისათვის 1 მილიონი ეკიუს გამოყოფა“.

„საქართველოს რესპუბლიკა“, №102.

●

„ისეთი კანონების მიღებაა საჭირო, რომელთა შედეგადაც სპორტი განვითარდება“.

ნიკო ლეკიშვილი,
„სარბიელი“, №63

●

„როცა საუბარია სპორტული ფედერაციების დამოუკიდებლობასა თუ დამოკიდებულებაზე, ეს ამბავი, სპორტის შესახებ კანონის თანახმად ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების მოგვაგონებს“

„ოლიმპიელი“, №4

## ნეტავ, საქართველოშიც გამოჩნდებოდეს!

**კერკ დუგლასსა** და მის მეუღლეს ძალიან აღელვებთ სასკოლო ასაკის ბავშვების გართობის პრობლემა და ისინი 655 ათასი დოლარის გადარიცხვას აპირებენ ლოს-ანჯელესის სკოლებისათვის. ეს თანხა სკოლების სათამაშო მოედნების, სპორტული დარბაზების კეთილმოწყობას და უსაფრთხოებას მოხმარდება.

ვოცნებობთ ჩვენშიც გამოჩნდეს ქართველი კერკ დუგლასი, რომელიც მას მიბაძავს და საქართველოში სკოლების მოშლილ, განადგურებულ დარბაზებს და მოედნებს შეაკეთებს!!!

ეთერ ხახუბია

### რაც საინტერესოა

## მოცარტი – 2-ჯერ დღეში თითო საათი

**წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ავადმყოფს, რომელსაც სისხლძარღვთა ვეგეტატიური დისტონია აწუხებდა, ექიმმა გამოუწერა რეცეპტი, რითაც პაციენტის აღშფოთება თუ არა, აშკარა გაკვირვება გამოიწვია. „მოცარტი“, — წაილუღლუღა მან. „მოცარტი“, — დაუმოწმა ექიმმა: „მოცარტი“. 2-ჯერ დღეში თითო საათი“.**

„სისულელეა“ — იტყვით. სულაც არა! ოდითგანვე მუსიკას სამკურნალოდ იყენებდნენ ბერძენი ექიმები. მაგალითად, ჩინეთის აფთიაქებში დღესაც შეხვდებით მუსიკალურ ალბომებს — ფირფიტებს ან კასეტებს — სახელწოდებით „საჭმლის მონელება“, „უძილობა“, „ღვიძლი“, „თირკმელი“... და ასე შემდეგ. იგივე არის იაპონიაში, ინდოეთში. მაგრამ განსაცვიფრებელი სააქიმო ეფექტი აღმოუჩენიათ მოცარტის მუსიკაში, რომელიც სამკურნალო თვისებებით მნიშვნელოვნად აღემატება ყველა მუსიკალური ნაწარმოებებისას. პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ იგი ამშვიდებს პაციენტს, უუმჯობესებს სივრცობრივ წარმოდგენასა და საშუალებას აძლევს უფრო მკაფიოდ გამოხატოს თავისი თავი.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა ზეგავლენას ახდენს ხმა ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილსა და ორგანოს უჯრედებზე. ხმის ვიბრაცია წარმოქმნის ენერგეტიკულ ველს, გარემო სივრცეში იწვევს რეზონანსსა და მოძრაობას. შთანთქავს ენერგიას და ცვლის სუნთქვის რიტმს, პულსს, სისხლის წნევას, კუნთების დაჭიმულობას, კანის ტემპერატურას და ა.შ.

შვეიცარიელი ექიმისა და ინჟინრის ჰანს ჯანის აღმოჩენა გვეხმარება გავიგოთ, როგორ ცვლის მუსიკა ჩვენს განწყობილებას, ორგანოების ფორმის მდგომარეობასაც კი.

ნიუიორკელმა მუსიკოსმა და სოციოლოგმა ლინდა როჯერსმა აღმოაჩინა, რომ მუსიკის შედეგად წარმოქმნილ ვიბრაციას შეუძლია, როგორც დადებითად, ისე, თუ მას შეცდომით შევურჩევთ, უარყოფითად იმოქმედოს პაციენტზე. მან ისიც კი დაასკვნა, რომ ოპერაციაზე, ნარკოზის ქვეშ მყოფ პაციენტს მუსიკის აღქმა შეუძლია: „ჩვენ ყოველგვარ მდგომარეობაში გვესმის“.

### რატომ მაინცდამაინც მოცარტი?

მოცარტს ჭკუისდასაკარგი ეფექტები არ შეუქმნია, რაც შეეძლო მათემატიკურ გენიოს ბახს. მისი მუსიკა არც ტალღებად აზვირთდება ბეთხოვენის ნაწარმოებივით, არც როკ-ვარსკვლავთა მუსიკასავით აგვამოძრავებს. მაშ რაშია საქმე? საქმე ალბათ ისაა, რომ მოცარტი კვლავინდებურად გამოუცნობიცაა და მისაწვდომიც. მისი ჭკუის მომხიბლაობა და უბრალოება გვაბრძენებს.

მოცარტის მუსიკა ბევრს სულიერი წონასწორობის აღდგენაში ეხმარება. და თუ იგი აღადგენს ორგანიზმში ენერგეტიკულ ბალანსსა და ჰარმონიას, ამით ასრულებს ფუნქციას, რომლისკენაც სამედიცინო სისტემები ისწრაფვიან: აკუპუნქტურა, ბალახებით მკურნალობა, დიეტა და ენერგეტიკული წონასწორობის აღსადგენი სხვა მეთოდები, რასაც ჯანმრთელობას ვუწოდებთ. მოცარტის მუსიკა არც ძალიან ნარნარია, არც ძალიან ჩუმი, არც ძალიან ხმამაღალია, — რაღაც, მიზეზების გამო „ისეთია, როგორიც საჭიროა“.

მოცარტის მუსიკა უმთავრესად კალიფორნიის უნივერსიტეტის ნოვატორული გამოკვლევის ყურადღების ცენტრში მოექცა. შემდეგ მთელმა რიგმა სწავლულებმა შეისწავლეს მოცარტის ნაწარმოებთა გავლენა სტუდენტთა გონებრივ პოტენციალზე საპროგრამო მასალის ასათვისებლად.

მოცარტის მუსიკის გარდა განსაკუთრებული ეფექტები აქვს რომანტიკულ მუსიკასაც, რომელიც გრძნობათა ექსპრესიას იწვევს. მაგალითად: შუბერტი, შუმანი, ჩაიკოვსკი, შოპენი და ლისტი.

როკ-მუსიკაც აღაგზნებს ვნებას, ხსნის დაძაბულობას, ამცირებს ტკივილს.

### სპორტი და სახელმწიფო...

# სად, რამდენი და ვისგან

**ამ რუბრიკით, „ლელოს“ წინა ნომერში დავიწყეთ პუბლიკაცია, რომელიც შეეხება სპორტის დაფინანსებას მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში. ვაგრძელებთ თემას.**

### ესტონეთი

მოსახლეობა — 1,5 მილიონი. სულ სპორტზე იხარჯება 12,5 მილიონი დოლარი წელიწადში. აქედან პირდაპირი სამთავრობო დაფინანსების წილია 1,5 მილიონი, ადგილობრივი ფონდებიდან იღებენ 6 მილიონს, სპონსორებიდან — 5 მილიონს.

### საფრანგეთი

მოსახლეობა — 58 მილიონი. სპორტს ხმარდება წელიწადში 38,3 მილიონი ფრანკი, რომელიც ასე ნაწილდება: სახელმწიფოდან — 7,5 მილიონი, ადგილობრივი ფონდებიდან — 25 მილიონი, ეროვნული ლატარეადან — 0,82 მილიონი, სპონსორებიდან — 5,8 მილიონი.

### უნგრეთი

მოსახლეობა — 10,5 მილიონი. ყოველწლიური დახმარება სპორტისადმი შეადგენს 45,96 მილიონ დოლარს. სამთავრობო დახმარება შეადგენს 20 მილიონს, ფონდებიდან — 16,6 მილიონს, ეროვნული ლატარიებიდან — 2,66 მილიონს, სპონსორებიდან — 6,7 მილიონს.

### ფინეთი

მოსახლეობა — 5 მილიონი. სპორტს ხმარდება 2 მილიარდ 600 მილიონი მარკა. სამთავრობო წილი 135,2 მილიონია, ადგილობრივი ფონდებიდან იღებენ 2 მილიონს, ეროვნული ლატარეადან — 400 მილიონს, სპონსორებიდან — 200 მილიონს.

მოგვაწოდა
თამაზ თევზაძემ (სეოკი)



## მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან



# ბრაზილიელები

## ჩილე, ტრიუმფის გაგრძელება

მეშვიდე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართა ჩილეში, 1962 წლის 30 მაისიდან 17 ივნისამდე. ბრაზილიელები ქ. ვინია დელ მარის წინასწარ ჯგუფში თამაშობდნენ მექსიკის, ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის ნაკრებებთან ერთად. შვეციის მსოფლიო პირველობაზე ბრაზილიელების ტრიუმფმა მსოფლიო ფეხბურთზე საყოველთაო გავლენა იქონია, ახლა თითქმის ყველა ნაკრები თამაშის 4-2-4 სისტემას იყენებდა. გამოჩნდა მისინაირსახეობაც 4-3-3. თქმა არ უნდა, ფინალის მონაწილე ნაკრებებმა დიდი წინასწარი სამუშაო ჩაატარეს. ზოგმა ახალგაზრდების დაწინაურებაზე აიღო აქცენტი, ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელ რუდოლფ ვიტლაჩილს თავისი მრავალნაცადი ვეტერანების იმედი ჰქონდა, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით გაუმართლეს კიდეც. ესპანელები სხვანაირად მოიქცნენ: მათმა მწვრთნელმა ელენიო ერერამ ნაკრებში ჩარიცხა განთქმული უნგრელი თავდამსხმელი ფერენც პუშკაში, რომელიც უკვე კარგა ხანია მადრიდის „რეალში" თამაშობდა. ამავე გუნდში იყო მეორე უდიდესი ოსტატი ალფრედო დი სტეფანო, მაგრამ მან შეჯიბრების დაწყებამდე ტრავმა მიიღო და თუმცა ყოველი მატჩის წინ თამაში უნდოდა, ერერა ვერ ბედავდა... ერთი სიტყვით, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში „ღვთაებრივ ალფრედოს" მოუხდა მწვრთნელის მრჩევლის როლით დაკმაყოფილებულიყო. ელოდნენ, რომ მეოთხედფინალში ბრძოლას ბრაზილიელები და ესპანელები გააგრძელებდნენ. ეს აზრი მხოლოდ სანახევროდ გამართლდა.

პირველ მატჩში ბრაზილიელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს მექსიკელებს — 2-0. გოლები გაიტანეს ზაგალომ და პელემ. მოულოდნელად (ბევრისათვის!) დამთავრდა ესპანელებისა და ჩეხოსლოვაკიელების შეხვედრა. ფავორიტებად, რა თქმა უნდა, ესპანელები ითვლებოდნენ. მათ თავდასხმაში ხომ პუშკაში, მარტინესი, სუარესი და ჰენტო თამაშობდნენ. რაც შეეხება ჩეხოსლოვაკიელებს, მიმომხილველებმა შეჯიბრების დაწყებამდე ჯეროვნად ვერ შეაფასეს ამ გუნდის ნამდვილი ძალა. ჩეხოსლოვაკიელებს შესანიშნავი დაცვა ჰყავდათ (ლალა, პოპლუხარი, პლუსკალი, ნოვაკი), ჩინებული შუა ხაზი (მასოპუსტი და კვაშნიაკი), სწრაფი თავდასხმა (შჩიბრანი, პოსპიხალი, შერერი და იელინეკი). მატჩის წინ ვიტლაჩილმა თავის მოთამაშეებს უთხრა. „ნუ გეშინიათ! ესპანელებიც თქვენსავით ადამიანები არიან! ეს ხომ ვარსკვლავების გუნდია, სადაც თითოეული თავისთვის თამაშობს, პარტნიორებთან ჯეროვან კონტაქტს გაურბის. აი, სწორედ ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ". და გამოიყენეს კიდეც! ესპანელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ მეკარე შროიფს, რომელიც შემდეგ ამ ჩემპიონატზე საუკეთესოდ აღიარეს, ვერაფერი დააკლეს, მე-80 წუთზე პოპლუხარ — იელინეკის კომბინაციის შედეგად ბურთი მიიღო შჩიბრანიმ, სანტამარიამ და გარაიმ კი ვერ მოასწრეს მისთვის გზის გადაკეტვა. მეკარე სედრუნი თავდამსხმელისაკენ გაემართა, მაგრამ შჩიბრანმა მოასწრო ბურთის კარში გადაგზავნა — 1-0. ესპანელები ისე გამწარდნენ, რომ მარტინესი ძლივს გააჩერეს, იგი აპირებდა მუშტებით გამასპინძლებოდა შჩიბრანს.

მომდევნო ტურში ესპანელებმა სძლიეს მექსიკელებს, — 1-0, ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრებების შეხვედრა კი ფრედ 0-0 დასრულდა. ისე რომ მეოთხედფინალის მონაწილეების საკითხი მორიგ, მესამე ტურს უნდა გადაეწყვიტა.

ბრაზილია-ესპანეთი! წინა მატჩებით უკმაყოფილო ელენიო ერერამ გადაწყვიტა იმედი აღარ დაემყარებინა მადრიდის „რეალისა" და „ბარსელონას" ვეტერანების უმრავლესობაზე, რომელიც ოვიედოელი, სარაგოსელი და სევილიელი „პროვინციალებით" შეცვალა. ამ უკანასკნელებმა კი პირდაპირ „თავი მოიკლეს", უდიდესი ენერგიით ითამაშეს, ისე, რომ მსოფლიო ჩემპიონებს ძალიან გაუჭირდათ.

თამაშის დასაწყისშივე ბრაზილიელებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. დაშავდა პელე, რამდენიმე წუთის შემდეგ თუმცა შეეცადა თამაშში ჩართულიყო, არაფერი გამოუვიდა, ისე, რომ ჩემპიონატის ბოლომდე გამოეთიშა შეჯიბრებას. იგი ახალგაზრდა ამარილდომ შეცვალა, მაგრამ პირველ ტაიმში, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან ღელავდა, შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა. ერთი სიტყვით, პირველი ტაიმი ესპანელების უპირატესობით წარიმართა. ჟილმარმა დიდი გაჭირვებით მოიგერია პუშკაშისა და ჰენტოს დარტყმები. 34-ე წუთზე ესპანელებმა მაინც გახსნეს ანგარიში. ჰენტოს დარტყმის შემდეგ ჟილმარმა კვლავ მოიგერია ბურთი, რომელიც



ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი — ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან): ამერიგო (მასაჟისტი), გარინჩა, დიდი, ვავა, ამარილდო, ზაგალო; მეორე რიგში — ჯალმა სანტოსი, ზიტო, ჟილმარი, ზოზიმო, ნილტონ სანტოსი, მაურო, გოსლინგი (ნაკრების ფსიქოლოგი). პელე? — ფინალური ტურნირის დასკვნით ნაწილში არ ითამაშა ტრავმის გამო.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

პუშკაშს მიუვიდა მან ოსტატურად აუარა გვერდი ორ მცველს, ბურთი ადელარდოს გადააწოდა და... 1-0. ამან ბრაზილიელები გამოაცოცხლა. ისინი მეორე ტაიმში უკვე გაცილებით უკეთ თამაშობდნენ. რაც მთავარია „რაღაცა დაემართა" ამარილდოს. შეშინებული და დაბნეული დებიუტანტიდან იგი ანაზდეულად გადაიქცა... „თეთრ პელედ", რომელმაც ესპანელების გამოცდილ მცველებს პირდაპირ შიშის ზარი დასცა. 81-ე წუთზე ესპანელთა კართან ნამდვილი ზედახორა გაიმართა და ამარილდომ იმარჯვა, ბურთი პატარა ხვრელში გააძვრინა — 1-1. მალე მან უკვე მეორე, გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2-1. ესპანელები გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

როგორ აფასებდნენ მიმომხილველები ბრაზილიელთა ნაკრებს? მისი შემადგენლობა წინა მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით დიდად არ შეცვლილა. ეს კი იყო, ადრინდელი ცენტრალური მცველების ბელინისა და ორლანდოს ნაცვლად თამაშობდნენ მაურო და ზოზიმო. მწვრთნელი ვისენტე ფეოლა შვეციიდან დაბრუნების შემდეგ სათავეში ჩაუდგა არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს" და იგი აიმორე მორეირამ შეცვალა. მართალია, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს რისკი არ გაეწიათ და ნაკრების სათავეში ისევ უდიდესი ავტორიტეტის მქონე ფეოლა დააბრუნეს. ახლა ჩილეში ყველა მეტოქეს „ბრაზილიის კომპლექსი" ჰქონდა და ფეოლაც ამას ჩინებულად იყენებდა. აი პელეს მწყობრიდან გამოსვლა კი დიდი დანაკლისი იყო. „შვეციის ვეტერანებიდან" დიდებულად თამაშობდნენ ჟილმარი — ყველა დროის უძლიერესი ბრაზილიელი მეკარე, „ბატონი კომპიუტერი" დიდი და გარინჩა. „მანე" შეუდარებელი იყო როგორც ინდივიდუალური აქციებისას, ასევე კოლექტიურ თამაშში. თვლიან, რომ ამ ჩემპიონატის მთელი სიმძიმე სწორედ გარინჩამ გადაიტანა. ის რომ არ ყოფილიყო, ბრაზილიელები შეიძლებოდა ძალიან მძიმე დღეში ჩავარდნილიყვნენ. ეს განსაკუთრებით ჩემპიონატის დასკვნით ნაწილს ეხებოდა. რაც არ უნდა იყოს, გუნდის „საშუალო ასაკი" უკვე 30,3 წელი იყო. იგი ვერც ისე დინამიურად თამაშობდა, როგორც 4 წლის წინათ, ვერც ისე მომხიბლავად და ბრწყინვალედ.

მეოთხედფინალში ბრაზილიელები ინგლისელებს შეხვდნენ. ერთი ბრაზილიელი ჟურნალისტი გარინჩას ესაუბრა.

● *იცი, ინგლისის ნაკრების ერთი ფეხბურთელი, გვარად უილსონი, ამბობს, რომ შენზე უკეთ თამაშობს.*

— საიდან უნდა ვიცნობდე! როგორ გამოიყურება?

● *მაღალია და ქერათმიანი.*

— იქ ყველა მაღალია და ქერათმიანია.

● *შენც ადექი და ყველა მოატყუე, ერთ-ერთი მათგანი ხომ უილსონი იქნება.*

გარინჩაც ადგა და „ყველა ინგლისელი მოატყუა", ისე, რომ, მიმომხილველების აზრით, ეს იყო ბრაზილიელების ყველაზე საუკეთესო მატჩი ამ ჩემპიონატში. ინგლისელების მწვრთნელმა უოლტერ უინტერბოტომმა თქვა: „ოთხი წელი ვამზადებდი ნაკრებს და თითქოს ყველაფერი გავითვალისწინე. ერთადერთი კი რაც ვერ გავაკეთეთ, ის იყო, რა უნდა მოგვეხერხებინა გარინჩისათვის". საერთოდ კი ასე იყო ყოველთვის, როცა 1955-66 წლებში გარინჩამ ნაკრებში 54 მატჩი ჩაატარა, წააგო მხოლოდ უკანასკნელი, უნგრელებთან, როცა სერიოზულად დაშავებული თამაშობდა. შემდეგ ყველაფერი ეს მშვენიერ ფილმში აისახა, რომელსაც „ხალხის სიხარული" ერქვა.

ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისელებმა ვერაფერი გააწყვეს ბრაზილიელებთან. ანგარიში გარინჩამ გახსნა. შემდეგ ჰიტჩენსმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, რასაც ვავასა და კვლავ გარინჩას გოლებიც მოჰყვა — 3-1.



ფინალურ მატჩში ზიტოს მეორე გოლი გააქვს ჩეხოსლოვაკიელთა კარში.

ფოტო „ლელოს" არქივიდან

ნახევარფინალური ფაზის დებულებით, თითქოს ერთმანეთს ჩეხოსლოვაკია და ჩილე, ბრაზილია და იუგოსლავია უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ ფიფამ გადაწყვიტა შეეცვალა დებულება, რათა ფინალურ მატჩში ერთმანეთს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის გუნდები დაპირისპირებოდნენ. ამიტომ ასეთი ნახევარფინალური წყვილები შეადგინეს: ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია და ბრაზილია — ჩილე. ჩეხოსლოვაკიელებმა შეძლეს იუგოსლაველების დამარცხება — 3-1.



გარინჩა

უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა ჩემპიონატი საკმაოდ მოკრძალებულად დაიწყეს, წინასწარ ჯგუფში წააგეს კიდეც გერმანელებთან — 0-2, მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ შემდეგ მეოთხედფინალში შეძლეს საბჭოთა ნაკრების დამარცხება — 2-1. ბრაზილიელებთან შეხვედრა უდიდეს აჟიოტაჟს იწვევდა, მთელი ქვეყანა მხოლოდ ამ მატჩზე ლაპარაკობდა. სანტიაგოს სტადიონი დილიდანვე გაივსო, უამრავი გულშემატკივარი, ცხადია, გარედ დარჩა. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონებიც ღელავდნენ, რაც არ უნდა იყოს, მაინც მასპინძლებს ეთამაშებოდნენ. ამასთან, თავისებური ფსიქოლოგიური ილეთიც გამოიყენეს: გაავრცელეს ხმა, თითქოს მატჩში პელე მიიღებდა მონაწილეობას, შემდეგ კი, ვითომც არაფერი, მის ნაცვლად მინდორზე კვლავ ამარილდო გამოვიდა. ერთი სიტყვით, წინასამატჩო დაძაბულობა მეტად დიდი იყო.

ბრაზილიელებმა მატჩი ფრთხილად დაიწყეს, სათამაშო სქემით 4-3-3. წინ გარინჩა, ვავა და ამარილდო მოქმედებდნენ, ზაგალო კი შუა ხაზზე დაწიეს. დასაწყისიდანვე დაშავდა ცენტრალური მცველი მაურო, რომელიც ჩილელ როხასს შეეჯახა და მთელი ათწუთიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა მინდორზე. მთელი ამ დროის მანძილზე მასპინძლები მძაფრად უტევდნენ, მაგრამ ჟილმარს ვერაფერი დააკლეს. შემდეგ თავისი სიტყვა, როგორც ყოველთვის, გარინჩამ თქვა, რომელმაც მე-9-ე და 32-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა და მატჩის ბედიც თითქოს გადაწყდა. სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, საქმე ასე არ იყო. 42-ე წუთზე ტორომ ერთი ბურთი გაიტანა და პარტნიორებსაც იმედი ჩაუსახა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ვავამ გაზარდა ანგარიში — 3-1, რის შემდეგ ჩილელებს ნერვებმა უმტყუნა. ისინი უხეშად დაესხნენ თავს არა მარტო მეტოქეებს, უდიერად მოექცნენ მსაჯ იამასაკისაც. მსაჯმა მინდორი დაატოვებინა ჩილელ ლანდას. დაიწყო ორმხრივი პროვოკაციები, ხოლო გულშემატკივრები მინდვრისაკენ მიიწევდნენ. მათი შეკავება დიდი გაჭირვებით ხერხდებოდა. ჯერ იყო და ლიონელ სანჩესმა ერთხელ კიდევ შეამცირა ანგარიში — 2-3, მაგრამ 78-ე წუთზე ვავამ გამარჯვების გოლი გაიტანა — 4-2.

ერთ მომენტში როხასი ძალზე უხეშად დაესხა თავს გარინჩას, რომელიც მოთმინებიდან გამოვიდა და მეტოქე ნოკაუტში გაისტუმრა. იამასაკიმ გარინჩას მინდორი დაატოვებინა, მაგრამ მისი გაყვანა იოლი არ აღმოჩნდა. მაყურებლები შეეცადნენ „ხალხის სიხარულს" გასწორებოდნენ და პოლიციამ რის ნაჩრობით დაიცვა იგი. მატჩის შემდეგ გარინჩამ ბოდიში მოუხადა როხასს და გულშემატკივრებს, ფიფას სადისციპლინო კომიტეტსაც თხოვნით მიმართა, ეპატიებინათ მისთვის, მიეცათ ფინალურ მატჩში გამოსვლის უფლება. კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ უდიდესი ფეხბურთელი ყოველთვის სამაგალითოდ იქცეოდა, არასოდეს დაუსჯიათ და მისცა მას თამაშის უფლება. ამავე დროს ლანდა არ დაუშვეს მესამე ადგილისათვის მატჩში. ამან ჩილეში პროტესტების მთელი ტალღა გამოიწვია, რომელიც თავს დაატყდა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე დოქტორ მაუროს (იტალია): „ეს იმიტომ გააკეთა, რომ შური იძია ჩვენს მიერ იტალიელების დამარცხებისათვის".

17 ივნისს სანტიაგოში ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიელები და ჩეხოსლოვაკიელები. ბრაზილიელები უკვე გამოკვეთილი შემადგენლობით თამაშობდნენ. ჩეხოსლოვაკიელებს კი აკლდათ ტრავმირებული მცველი ლალა. ცბიერმა ტაქტიკოსმა რუდოლფ ვიტლაჩილმა გააოცა ყველა სპეციალისტი.

აქამდე მისი გუნდი ყველა მატჩში დაცვით ვარიანტს ირჩევდა, ახლა კი ძლიერ მეტოქეს მედგრად შეუტია! მე-15 წუთზე მეტად საინტერესო კომბინაციის შედეგად პოსპიხალმა ფრთაზე გარღვევა განახორციელა, ბურთი გადასცა ცენტრში, სადაც სიღრმიდან დიდი სისწრაფით შეიჭრა ნახევარმცველი მასოპუსტი, გასცდა ორ მცველს, დარჩა ჟილმარის პირისპირ და ზუსტად დაარტყა კარის კუთხეში — 1-0. ჩეხოსლოვაკიელების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ ორი წუთის შემდეგ ამარილდომ, რომელიც უკვე „თეთრი პელე" იყო, შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1-1. ამ ტაქტიკურ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელები მეტად ჭკვიანურად და მოქნილად თამაშობდნენ. მათ შეძლეს დროებით გარინჩას თამაშიდან გამორთვა (!). ალბათ იმიტომ, რომ „მანე" მომხდარი ინციდენტის გამო თავს ფსიქოლოგიურად დათრგუნულად გრძნობდა. კვაშნიაკმა და მასოპუსტმა ერთხელ კიდევ აჩვენეს თავიანთი ოსტატობა, როგორც ჭეშმარიტმა დირიჟორებმა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც იჩინა თავი ბრაზილიელების შეუდარებელმა კლასმა. 68-ე წუთისათვის გარინჩა უკვე ჩვეულებრივი ძალით ამოქმედდა. იგი მეტად ენერგიულად თამაშობდა, ორი მცველი არ შორდებოდა, ამასობაში კი სხვა ბრაზილიელი თავდამსხმელები უფრო თავისუფლად გრძნობდნენ თავს. გარინჩას გარღვევის შემდეგ ბურთი მიიღო ამარილდომ, გადააწოდა სიღრმიდან შემოჭრილ ნახევარმცველ ზიტოს და ანგარიში გახდა 2-1. ამის შემდეგ მაყურებლები ტიპიური სამხრეთამერიკული სცენის მოწმენი გახდნენ. მინდორზე გადაცვივდნენ ბრაზილიელების სათადარიგო მოთამაშეები, მასაჟისტები, მწვრთნელები, ფოტორეპორტიორები. მათ დაშოშმინებას კარგა ხანი დასჭირდა. 74-ე წუთზე იელინეკის ძლიერი დარტყმის შემდეგ ჯალმა სანტოსს ბურთი ხელზე მოხვდა (თუ თვით შეეხო?). 11-მეტრიანი დარტყმა? მსაჯმა ლატიშევმა (რომელიც განსაკუთრებით „პოპულარული" იყო თბილისში!) ჩათვალა, რომ ეს ჯალმას განზრახ არ გაუკეთებია, და პენალტი არ დაუნიშნავს. ამას, ცხადია, გამაყრუებელი სტვენა მოჰყვა.

მალე ბრაზილიელებმა შეძლეს მესამე გოლის გატანა. ჯალმა სანტოსი დაიძრა წინ, ვილიამ შროიფი გამოვიდა მის შესახვედრად, მაგრამ, როგორც ჟურნალისტები ირწმუნებოდნენ, „მზემ დააბრმავა", შეცდა და ვავამ იოლად გაიტანა გოლი — 3-1.

ბრაზილიელებმა შეინარჩუნეს ჩემპიონობა, მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში კი მოხვდნენ ჯალმა და ნილტონ სანტოსები, ზიტო, გარინჩა და ამარილდო.

იხ. მე-4 გვ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ქუთაისი საევროპოდ ემზადება

საქმე იქითკენ მიდის, რომ სულ მალე, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქუთაისელი გულშემატკივრებიც იხილავენ ევროტურნირების მატჩებს. ქვეყნის პირველობის სატურნირო ცხრილში „ტორპედო" მეოთხე საფეხურზე იმყოფება და უეფას ტურნირზე თუ არა, ინტერტოტოზე მაინც გამოვა. ამიტომაც ქუთაისი დიდ სამზადისშია. მუშაობა, ასე ვთქვათ, რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. პირველ ყოვლისა, „ტორპედოს" კლუბის მეპატრონეები შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობენ. ბესიკ ჯიქიას, კლუბის პრეზიდენტს, შეგულებული ჰყავს რამდენიმე ფეხბურთელი, რომელთა თხოვებას იგი აპირებს (მალე მათი ვინაობაც გამომზეურდება) ქართული გუნდებიდან.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება კილაძის სახელობის სტადიონზეც. ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში მზადდება 10 ათასი სავარძელი, რომელსაც წელს ტრიბუნებზე დაამონტაჟებენ. გარდა ამისა, შესრულდება სტადიონის გადახურვისა და შიდამოპირკეთების სამუშაოებიც, კეთილმოეწყობა სტადიონამდე მისასვლელი გზები.

## „რუსთავში" კვლავ ცვლილებებია

საფეხბურთო კლუბ „რუსთავში" კვლავ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი (ამ სეზონში რიგით მეოთხე!): საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთმა ფიფას მიერ ლიცენზირებულმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ კლუბის ხელმძღვანელობასთან ცუდი ურთიერთობის გამო დატოვა გუნდი. ახალგაზრდა მწვრთნელ „რუსთავს" სათავეში მეორე წრიდან ჩაუდგა და მოკლე ხანში, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჩამოაყალიბა – პერსპექტიული მოთამაშეებისა (ზირაქაძე, ფეზუაშვილი, ყიფიანი, გვაზავა) და ვეტერანების (კუდინოვი, არზიანი, მ. ქორიძე) სინთეზი.

ვინ შეცვლის დარსაძეს, უცნობია, მაგრამ მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ეს გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი იქნება, რომელსაც „რუსთავის" პირველ ჯგუფში დარჩენაზე ზრუნვა მოუწევს.

## „დილას" თავკაცები სასამართლოთი იმუქრებიან, მეკარე ჭანტურია ცილისმწამებელს დაეძებს, რომ ფიზიკურად გაუსწორდეს

მცხეთაში, თსუ — „დილას" მატჩის დამთავრების შემდეგ, სტუმრად მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, გორელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები უხასიათოდ გამოიყურებოდნენ. მიზეზი რომ ვკითხეთ, ყველაფერი ნათელი გახდა: თბილისის „დინამოსთან" თასის მეორე ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ზოგიერთმა საჯაროდ გამოთქვა ვარაუდი, რომ ქართლელთა 24 წლის მეკარე გრიგოლ ჭანტურია თბილისელებმა მოისყიდეს. „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში „დილას" თავკაცებმა კობა ახალკაცმა და ვაჟა ხაჩირაშვილმა გადაჭრით გამორიცხეს ამის შესაძლებლობა, ხოლო ფეხბურთელებმა ვაჟა თარხნიშვილმა, როინ მარღიშვილმა, ქრისტეფორე შატაკიშვილმა და სხვებმა აღშფოთება ვერ დამალეს და განაცხადეს, რომ ცილისწამებისთვის სასამართლოს მიმართავენ. ამასთან, დასძინეს, გორში თამაში ჩვენივე მიზეზით წავაგეთო. გრიგოლ ჭანტურია კი ისე იყო აღშფოთებული, სიტყვები არ ჰყოფნიდა, ესლა გვითხრა, ის კაცი არა ვარ, სასამართლოში ჩივილი დავიწყოო. იგი ახლა ჭორის გამავრცელებლებს დაეძებს და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრება.

## მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

# ბრაზილიელები

*(მე-3 გვერდიდან)*

## ყველაფერს დასასრული აქვს?..

პირველი ადგილი შვეციაში, ასეთივე წარმატება ჩილეში რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ასეთივე შედეგის მიღწევა ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში?!

16 მონაწილე, როგორც წესი და რიგია კვლავ 4 წინასწარ ჯგუფად დაჰყვეს, ამასთან, ბრაზილიელები აღმოჩნდნენ მესამეში, სადაც მათი მეტოქეები იყვნენ ბულგარელები, უნგრელები და პორტუგალიელები. ეს ჯგუფი ოთხთაგან უძლიერესად იქნა ცნობილი არა მარტო იმის გამო, რომ აქ მსოფლიო ჩემპიონები თამაშობდნენ. იმხანად მაღალი რეპუტაცია ჰქონდათ უნგრელებს. ზოგი მათგანი იმასაც კი თვლიდა, რომ შეიძლებოდა „დიდი გუნდის" ტრადიციების აღორძინება. პორტუგალიის ნაკრებმა ჩემპიონატის წინახანებში ასევე სახელი გაითქვა.

ბრაზილიელებმა პირველი მატჩი 1966 წლის 12 ივლისს ჩაატარეს ბულგარელების ნაკრებთან. შეხვედრას ქ. ლივერპულის „ევერტონის" სტადიონზე 45 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. საინტერესოა ბრაზილიელების შემადგენლობა: „ჟილმარი, ჯ. სანტოსი, ბელინი, ალტაირი, ენრიკე, დენილსონი, ლიმა, გარინჩა, ალსინდო, პელე, ჟაირზინიო. აღარ თამაშობდა უწინდელი დიდი გოლიადორი ვავა, აღარც „ლობო" („მგელი") ზაგალო. ახალი თაობის ფეხბურთელთაგან ძალიან აქებდნენ დრიბლიორ ჟაირზინიო-ს და შედეგიან ტოსტაოს.

ბრაზილიელები, თუმცა ინიციატივას ფლობდნენ და ბევრს უტევდნენ, მაგრამ კარგად ორგანიზებულ დაცვას წააწყდნენ. მიმომხილველები თვლიდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონებს ეს მატჩი აშკარად არ გამოუვიდათ. მათ მაინც გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0, ამასთან, ორივე ბურთი პელემ და გარინჩამ თავისუფალი დარტყმების შედეგად გაიტანეს. ექსპერტები წერდნენ, რომ ეს უკვე არავითარ შემთხვევაში აღარ იყო „გოლების გატანის ბრაზილიური მანქანა", რომელსაც მთელი 8 წლის განმავლობაში ვერავინ ვერაფერს უხერხებდა. თავისი როლი ითამაშა პელეს დაშავებამ, რაშიც ბულგარელების მცველი დობრომირ ჟეჩევი დაადანაშაულეს, ბულგარელები ირწმუნებოდნენ, რომ ეს უნებლიედ მოხდა. მართლა უნებლიე იყო თუ წინასწარ განზრახული, პელეს ტრავმამ ბრაზილიელებისათვის მეტად მძიმე შედეგები მოიტანა. თუ ამას დავუმატებთ, რომ გარინჩაც უწინდელის აჩრდილიღა იყო...

მეორე დღეს პორტუგალიელებმა ბევრისათვის მოულოდნელად უნგრელებს სძლიეს — 3-1. დიახ, სწორედ იმ გუნდს, რომელსაც თავდასხმაში ჰყავდა ალბერტი, ბენე ფარკაში და რაკოში. ორი ფავორიტის დამარცხება პირველივე ტურში ჩემპიონატის სიურპრიზი იყო.

დიდი აჟიოტაჟი იყო მეორე ტურის წინ. ბრაზილიელები უნგრელებს ხვდებოდნენ, რომლებიც დამარცხების შემთხვევაში ასე ნაადრევად უნდა გამოთხოვებოდნენ შეჯიბრებას, ბრაზილიელებს პირველ რიგში პელე აკლდათ, რაც მძიმედ დაეტყოთ კიდეც. გარდა ამისა, უნგრელებს უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდათ.

ბრაზილიელების სახეშეცვლილ და „დამძიმებულ" გუნდთან მათ ყველაფერი გამოუვიდათ, ფლორიან ალბერტმა და ფერენც ბენემ კი მართლაც დიდი სახელი მოიხვეჭეს.

პირველ ტაიმში, რომელიც ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, უპირატესობა მაინც ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. ბენემ გახსნა ანგარიში, ტოსტაომ კი საპასუხო გოლი გაიტანა. თამაშის მეორე ნახევარში უნგრელებმა პირდაპირ თავზარი დასცეს მეტოქეთა მცველებს. მეკარე ჟილმარი, რომელიც შვეციაშიც დიდებული იყო და ჩილეშიც, ახლა მძიმე შეცდომებს უშვებდა. იანოშ ფარკაშმა და ცენტრალურმა მცველმა კალმან მესეიმ კიდევ ორი გოლი გაიტანეს — 3-1 და ბრაზილიელებმა შერცხვენილებმა დატოვეს მინდორი. ახლა მათაც ერთი გამარჯვება ჰქონდათ და უნგრელებსაც, წინ იყვნენ პორტუგალიელები, რომლებმაც უკვე ორი მატჩი მოიგეს. ახლა ბრაზილიელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ პორტუგალიელებთან, თორემ ესოდენ ადრეულ სტადიაზე შეჯიბრების დატოვება ემუქრებოდათ. პელე თუ ეუსებიო: „მოზამბიკელი ჯიქი", მინდორზე დაქროდა, პელეს კი უჭირდა მოძრაობა. ამასთან, მან მეორე, ამჯერად უფრო მძიმე ტრავმა მიიღო, ხელახლა დაშავდა პორტუგალიელთა მარჯვენა მცველ მორაისთან შეტაკებისას. სულ მალე გამოირკვა, რომ ეს არა მარტო ამ ჩემპიონატთან პელეს გამოთხოვებას მოასწავებდა, არამედ, ბრაზილიის მთელი ნაკრებისაც. ამიტომაც ამბობენ, რომ დიდებულიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. უკვე პირველ ტაიმში ანგარიში იყო 2-0 პორტუგალიელების სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს სიმოესმა და ეუსებიომ. მეორე ნახევარში ბრაზილიელთა მცველმა რილდომ ერთი გოლი კი გაქვითა, მაგრამ ეუსებიომ ისევ იმარჯვა და გამარჯვება მოუტანა თავისიანებს — 3-1. მართლაც და ვინ მოელოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონები უკვე წინასწარი წრიდან გამოეთიშებოდნენ შეჯიბრებას.

მაინც რა იყო ბრაზილიელთა ესოდენ მძიმე დამარცხების მიზეზი? გუნდი თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად თამაშობდა. პელეს დაშავების შემდეგ ნაკრებს უკვე აღარ ჰყავდა ნამდვილი ლიდერი. ფეოლამ ვერ შეძლო ნამდვილად ბრძოლისუნარიანი ნაკრების შექმნა. ჟილმარი, ჯალმა სანტოსი, ბელინი და გარინჩა ამთავრებდნენ თავიანთ კარიერას, ასეთი მძიმე შეჯიბრებისათვის მზად არ იყვნენ არც ფიზიკურად და არც მორალურად...

ერთი სიტყვით, ეს ნამდვილად არ იყო ბრაზილიელების ჩემპიონატი. მაშინ, როცა ინგლისში ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები შერცხვენილები გაიპარნენ სამშობლოში და პოლიციას მათი დაცვაც დასჭირდა გაავთრებულ გულშემატკივრებისაგან. ისიც ვთქვათ, რომ თუ მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში წინა ჩემპიონატში ჩილეში 5 ბრაზილიელი მოხვდა, ახლა ამ სიაში უკვე არც ერთი მათგანი აღარ შეუყვანიათ!

**ბივი ბამრეკელი**

*(გაგრძელება იქნება)*



*პორტუგალიელებთან მატჩში პელემ კიდევ ერთი სერიოზული ტრავმა მიიღო (სურათზე მას ამშვიდებს და თანაუგრძნობს ეუსებიო — მარცხნივ).*

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XXV ტური

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

**გურია (ლანჩხუთი) – რუსთავი 1-1**

***გურია:*** გოგუა, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, განევი, პატარაია (ხოსროშვილი), ბუკია, ბულუხია.
***რუსთავი:*** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, კუდინოვი, პავლიაშვილი, ცომაია, ზირაქაძე (ფეზუაშვილი), მელაძე (მ. სახვაძე), ბოკერია (ჩუხუა), ყიფიანი, ალადაშვილი.
***გოლები:*** 1-0 ბუკია (39), 1-1 ყიფიანი (56)
***გააფრთხილეს:*** ღურწკაია, ყიფიანი, პავლიაშვილი, განევი, ბულუხია
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

**მაღაროელი (ჭიათურა) – სამგურალი (წყალტუბო) 1-1**

***მაღაროელი:*** გველესიანი, ტეფნაძე, იობაშვილი, ბიწაძე, მ. გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი.
***სამგურალი:*** სტურუა, ჭელიძე, თევზაძე (ფხაკაძე), კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი, გ. ვაშაკიძე, დარსაძე, ხურცილავა (ქუთათელაძე), თევდორაძე (დონდაძე).
***გოლები:*** 1-0 ბუიშვილი (45), 1-1 მოსიკაშვილი (74)
***გააფრთხილეს:*** გაბრიჭიძე, სამხარაძე, დარსაძე
***მსაჯი:*** თემურ მაჭარაძე (ხონი)

**კოლხეთი-1913 (ფოთი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 3-0**

***კოლხეთი:*** ქვაჩახია, მიქაბერიძე (ბაჩილავა), ქუტიძე, პაპავა, გიორგობიანი (გოროზია), ღადანიძე, ინალიშვილი, დ. მახარაძე (ე. გვასალია), ჩხენკელი, წივწივაძე, მ. ქობულაძე.
***მარგვეთი:*** მერკვილიშვილი, კაკაბაძე, გურიელიძე, ჟვანია, გოგაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, მალაღურაძე, ქურციკიძე, მაღრაძე, შავგულიძე (ბოგვერაძე).
***გოლები:*** ჩხენკელი (58), მიქაბერიძე (63,65)
***მსაჯი:*** თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

**უნივერსიტეტი (თბილისი) – დილა (გორი) 0-2**

***თსუ:*** გ. დოლიძე, ყოლბაია, ვერემჩუკი. კობიაშვილი, კვიტატიანი (კანკავა), შალამბერიძე, გემეზაშვილი (სვანიძე), ქორიძე, რუსია (გ. გვაზავა), კ. მელქაძე, მაზიაშვილი.
***დილა:*** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხოხობაშვილი (ბ. ჩიტაია), ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, მარეხაშვილი, შატაკიშვილი (ციცქიშვილი), მარღიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი.
***გოლები:*** მარეხაშვილი (15), მარღიშვილი (72)
***გააფრთხილეს:*** თარხნიშვილი, რუსია
***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

**სიონი (ბოლნისი) – დინამო (თბილისი ) 0-4**

***სიონი:*** დ. ბიწაძე (დალაქიშვილი), გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, კ. წიკლაური, მ. სამხარაძე, გოგოლაძე, ე. ჯაფარიძე (დ. ბერიძე), ტყავაძე, ჯაგიდნისი (ლ. გაგუა), ტარტარაშვილი.
***დინამო:*** ზოიძე, ლობჟანიძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, კვარაცხელია, კიკნაძე (ბურდული), ა. სახვაძე, აშვეთია (წიტაიშვილი), მუჯირი (პეტრიაშვილი), ხომერიკი.
***გოლები:*** აშვეთია (8), კვარაცხელია (36), ხომერიკი (50), დიდავა (51).
***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**ოდიში (ზუგდიდი) – ტორპედო (ქუთაისი) 0-0**

***ოდიში:*** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ჯაბუა, ტყემალაძე, ბარქაია, ჩადუნელი, ენდელაძე, ჭედია, ისიანი (იოსავა), კალანდაძე.
***ტორპედო:*** ასლანაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, თურმანიძე, კ. მეტრეველი, შ. ხუჯაძე (ჩხეტიანი), დ. ჯანაშია (გ. შენგელია), მეგრელაძე (ვაჩიბერაძე), ჩხაიძე.
***გააფრთხილეს:*** ჩადუნელი.
***მსაჯი:*** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი)

**დინამო (ბათუმი) – მერანი-91 (თბილისი) 0-0**

***დინამო:*** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორდაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, მაჭუტაძე, კანტიძე, ყულეჯიშვილი (აფხაზავა)
***მერანი:*** ნაჭყეპია, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, კაპანაძე, აბაზაძე, ა. ხორხელი (მაზანაშვილი), ჩიგოშვილი (ინიაშვილი), მესხი (საბიაშვილი).
***გააფრთხილეს:*** გოგიტაძე, ბუხრიკიძე.
***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

## «ბორუსია» მუქთად ძლიერდება

ტოგოელი თავდამსხმელი ბაშირუ ზალუ, რომელიც თავისი აღნაგობით მძიმეწონოსან მოკრივეს უფრო წააგავს, ძალიან პოპულარულია, როგორც თავისი ამჟამინდელი გუნდის – „დუისბურგის" ქომაგებში, ასევე მთელს გერმანიაში. ამ 27 წლის აფრიკელს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება „დუისბურგთან" და თავისუფალი აგენტი უნდა გამხდარიყო. დორტმუნდის „ბორუსიას" ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვია და უკვე გადაიბირა ზალუ, რომელსაც ბუნდესლიგის წლევანდელ სეზონში 10 გოლი აქვს გატანილი.

# სენიორ მალდინის რიტორიკა

რა პრობლემების წინაშეც არ უნდა იდგეს იტალიის ეროვნული გუნდი, ის ყოველთვის ფავორიტია — ასეთია საფეხბურთო ქვეყანა-მონსტრის ხვედრი. ხოლო „სკუადრა-აძურას“ მწვრთნელის ხვედრი განსაკუთრებულად მძიმეა, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში განსაკუთრებული დაუნდობლობით შეუდგებიან მის ჯვარზე გაკვრას. პრესისა და ტიფოზების „როზგები“ ბევრმა გამოსცადა, ჩეზარე მალდინისათვის კი ასეთი რამ ჯერჯერობით უცხოა — მას მთავარი გამოცდის ჩაბარება საფრანგეთი-98-ზე მოუწევს. ჩეზარე მალდინის არ უყვარს პოსტულატები, ის ყველაფერს გულდასმით ასაბუთებს...

## ბოსმანი – იტალიის შავი ჭირი...

ის, რომ ჩვენთან ამდენი ლეგიონერი თამაშობს, ცალსახად უარყოფითად მოქმედებს იტალიურ ფეხბურთზე, მსგავსი სიტუაცია იყო 50-იან წლებში და მაშინ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც კი ვერ მოვხვდით. კიდევ კარგი შემდეგ მიღებული იქნა სათანადო ზომები — ლიმიტირებული გახდა ლეგიონერთა რაოდენობა და საშუალება მოგვეცა ჩვენი ოსტატები აღგვეზარდა. შედეგად მივიღეთ ტარდელი, კაბრინი, შირეა, მთელი რიგი ბრწყინვალე ფეხბურთელები, რომლებმაც ესპანეთის ტრიუმფი (1982 წელი) გვიბოძეს. ვთვლი, რომ ახლაც აუცილებელია რაღაც ზომების მიღება, რათა დავიცვათ ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები და მივცეთ მათ დაოსტატების საშუალება. დარწმუნებული ვარ „ბოსმანის საქმე“ დამღუპველია ევროპული ფეხბურთისათვის და მათ შორის იტალიურისთვისაც. ჩვენ უკვე შეგვექმნა პრობლემები — არა გვაქვს ექსტრაკლასის მოთამაშეების მდიდარი არჩევანი, ნაკრებში ამა თუ იმ პოზიციაზე კონკურენცია, შეიძლება ითქვას, რომ რეალურად არ არსებობს. თანავუგრძნობ მარკო ტარდელის (რომელიც იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია ჩეზარეს შემდეგ — *დ.თ.*), რადგან მეც მსგავს მდგომარეობაში ვიყავი. თუმცა ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს ჰქონდა გამარჯვებები, ოღონდ ეს თავდადებით, მაქსიმალური მობილიზაციით იქნა მიღწეული და არა ოსტატობის ხარჯზე.

თანაც ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ლეგიონერი დიდი ფეხბურთელი როდია. მაგალითად, თუ ახლანდელ ლეგიონერებს წინა თაობის ლეგიონერებს შევადარებთ, უპირატესობა თანამედროვეების მხარეს ნაღდად არ იქნება. პლატინი, მარადონა, რუმენიგე, ვან ბასტენი, გულიტი — ისინი უდიდესი ოსტატები იყვნენ. დღევანდელი ლეგიონერებიდან კი რონალდოს და ზიდანს გამოვყოფდი, აგრეთვე, ბატისტუტას.



*„სკუადრა აძურას“ დამრიგებელს არც თუ ისე ხშირად უხდება ეროვნული ნაკრების წევრების ერთად თავმოყრა, არადა, დიდი სურვილი კი აქვს... მარცხნიდან: პაოლო მალდინი, ჯანფრანკო ძოლა, ატილიო ლომბარდო, ჩეზარე მალდინი, ანჯელო დი ლივიო.*

## რა აღელვებს...

კოსტაკურტასთან და ჩემს ვაუთან ერთად ჩირო ფერარა ჩვენი გუნდის დაცვის სიმტკიცეს განაპირობებდა. მისი ტრავმის გამო დაცვის ხაზის ახლებურად გადაწყობა მოგვიწევს. ყურადღებით ვაკვირდები ნესტას, სარტორს, იულიანოს, ძალიან ვწუხვარ იტალიის გარეთ მოთამაშე ნაკრების კანდიდატებზე. მაგალითად, ძოლა ავიღოთ, ის თავისი საუკეთესო ფორმისაგან ძალიან შორსაა, ვერ გამიგია რა მოსდის. მხოლოდ ასაკი აქ არაფერ შუაშია! ძოლა მარწმუნებს, რომ „ჩელსის“ ვარჯიშებზე თავს არ დაზოგავს, ძველებურ ფორმას აღიდგენს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მან თავისი მომხიბვლელობა და თამაშის განსაკუთრებული პეწი სადღაც დაკარგა. თუმცა იმედია ის კვლავ გახდება ისეთი ძოლა, რომელიც ნაკრებს სჭირდება.

რავანელი თითქოსდა ცუდად არ გამოიყურება, მაგრამ მას ამხანაგურ მატჩებში საგულდაგულოდ შევამოწმებთ.

## ჩეზარეს პაჟი

ამ სეზონში დელ პიერო მართლაც რომ პროგრესს განიცდის — მომძლავრდა ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, თამაშობს ჩავარდნების გარეშე. ბევრს უკვირს, რომ ის სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, მათ შორის მეც, თუმცა მე არასოდეს ვთვლიდი მას ნახევარმცველად, მან მხოლოდ თავდასხმაში უნდა ითამაშოს, მიუხედავად იმისა, რომ მინდვრის სიღრმიდან თამაში მისი სტიქიაა. ახლა დელ პიეროს მოუწევს, რომ თანაგუნდელებს ნაკრებში დაუმტკიცოს თუ ვინ არის ნამდვილი ლიდერი.

## მაშ, ბაჯოს რაღა?

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი ჟურნალისტი ხელოვნურად აზვიადებს და ძაბავს რობერტო ბაჯოს გარშემო არსებულ სიტუაციას. მე და რობერტომ სერიოზულად ვილაპარაკეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ უფრო კარგი იქნება თუ ჟურნალისტები ბაჯოს ცოტა ხნით მაინც აღარ შეაწუხებენ. რაც არ უნდა მოხდეს, ბაჯო ყოველთვის ჩვენი ყურადღების ქვეშ იქნება. ამას ის ნამდვილად იმსახურებს — შარშანდელი უიღბლო სეზონის შემდეგ ბაჯო კვლავ გვახსენებს თავს და არც თუ ისე ცუდ ფორმაშია. ბევრია დამოკიდებული იმაზეც თუ როგორ ითამაშებენ მისი სანაკრებო კონკურენტები. შეუძლებელია, რომ ერთდროულად გამოვიყვანო თამაშზე დელ პიერო, ძოლა და რობერტო ბაჯო — ისინი ერთი ტიპის ფეხბურთელები არიან. ორი მათგანის დაყენებაც შემადგენლობაში დიდი რისკია, ამას დღევანდელი გუნდების უმეტესობა არ გვაპატიებს.

## „ტრადიციონალისტი“

პროგნოზების დიდი მოყვარული არა ვარ. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ჩავატარებთ პირველ მატჩს, იგივეს ვიტყვი სხვა ფავორიტებზეც, რომელთაგან პირველ რიგში დავასახელებდი ბრაზილიას, შემდეგ ინგლისს, არგენტინას, საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, გერმანიას. არატრადიციული ფავორიტებიდან მხოლოდ ნიგერიას დავასახელებდი. სხვა გუნდებს კი, ვფიქრობ, გამარჯვების დიდი შანსი არ აქვთ.

დათო თავართქილაძე

FRANCE 98 INFORMATIONS

## ხანდაზმული ბერგომიც მარაქაში გაერია?

ადვილი შესაძლებელია, რომ წლეულს საფრანგეთში 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, „ინტერის“ მცველი ჯუზეპე ბერგომი ვიხილოთ. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ცენტრალური მცველი ჩირო ფერარა ზაფხულისთვის მწყობრში ვერ ჩადგება, „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ დაცვის ცენტრში გაამწესა ალესანდრო ნესტა და ფაბიო კანავარო. საჭიროების შემთხვევაში ვინ შეცვლის მათ? სპეციალისტების ვარაუდით ასეთად შეიძლება ვიხილოთ სწორედ ვეტერანი ბერგომი, რომელიც 1991 წლიდან არ გამოჩენილა ნაკრებში.

## ყველაზე ადრე მასპინძლებმა დაასახელეს

სააგენტო ფრანს-პრესი იტყობინება, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ სავარაუდოდ დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომლებიც მონდიალში ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. ესენია: *მეკარეები* — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ბერნარ ლამა (ვესტ ჰემი), ლიონელ შაბონიე (ოსერი); *მცველები* — ლილიან ტიურამი (პარმა), ლორან ბლანი (ოლიმპიკი), მარსელ დესაი (მილანი), ვინსან კანდელა (რომა), ბიქსენ ლიზარაზიუ (ბაიერნი), ფრანკ ლებეფი (ჩელსი); *ნახევარმცველები* — ალენ ბოგოსიანი (სამპდორია), დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი (ორივე — იუვენტუსი), კრისტიან კარამბე (რეალი), მარტინ ჯეტუ (მონაკო), იური ჯორკაეფი (ინტერი), რობერ პირესი (მეცი), სამბრი ლამუში (ოსერი); *თავდამსხმელები* — სტეფან გივარში, ბერნარ დიომედი (ორივე — ოსერი), დავიდ ტრეზეგე (მონაკო), ნიკოლა ანელკა (არსენალი), კრისტოფ დიუგარი (ოლიმპიკი), ფლორიან მორისი (პსჟ).

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა ზოგიერთი იმ ფეხბურთელის ვინაობაც დაასახელა, ვისაც გუნდში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვს: პატრიკ ვიეირა, ემანუელ პეტი (ორივე — არსენალი), პიერ ლეგლი (სამპდორია), იბრაჰიმ ბა (მილანი), ტიერი ანრი (მონაკო), მარკ კელერი (კარლსრუე), ლიონელ ლიტისიე (მეცი), ბრუნო ნ'გოტი, ფრენკ გავა (ორივე — პსჟ), კლოდ მაკელელე (ოლიმპიკი), ლილიან ლასლანდი (ბორდო), ნიკოლა უედეკი (ესპანიოლი).

## №1 ყველაზე ახალგაზრდაა

ამერიკის №1 ფეხბურთელად აღიარებული 24 წლის ედი პოპი ამ ქვეყნის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა. იგი მცველია, მაგრამ ძალიან ხშირად გააქვს გოლი.

როგორც კი მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდება, ასეთ შესანიშნავ მოთამაშეს აშშ-ში არავინ დატოვებს — ექსპერტების აზრით, რომელიმე ცნობილ ევროპულ კლუბში აღმოჩნდება.

## „ძველების იმედი მაქვს“

ასე აცხადებს ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხრისტო ბონევი. მას მსოფლიო პირველობაზე ძირითადად ძველი თაობის წარმომადგენლების იმედი აქვს. პირველ ყოვლისა ხრისტო სტოიჩკოვის, აგრეთვე კრასიმირ ბალაკოვის, ემილ კოსტადინოვის, იორდან ლეჩკოვისა და ტრიფონ ივანოვის.

## კლინსმანი: თავდამსხმელები საკმაოდ გვყავს!

იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელ ბერტი ფოგტსს აშკარად ბირჰოფ-კირსტენის წყვილზე აქვს კურსი აღებული, კლინსმანმა განაცხადა, რომ მასაც, როგორც გუნდის კაპიტანს, ადგილი გარანტირებული აქვს.

მან შეაქო ბირჰოფი, რომელმაც შარშან ნაკრებში 7 გოლი გაიტანა, იტალიის ჩემპიონატშიც ხომ მეტისმეტად გამოიჩინა თავი, ამავე დროს აღნიშნა კირსტენის, მარშალის, იანკერის ოსტატობა და თქვა, რომ ნაკრებს მაღალი კლასის თავდამსხმელები საკმაოდ ჰყავს, ამიტომაც ოპტიმიზმის სრული საფუძველიც აქვს.

## „მარაკანაზე“, ბრაზილია – არგენტინა 0–1



*კლაუდიო ლოპესი*

***ბრაზილია:*** **ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო (კლებერი), რობერტო კარლოსი, ზე ელიასი, სეზარ სამპაიო, რაი (ლეონარდო), დენილსონი (ედმუნდო), რონალდო, რომარიო.**
***არგენტინა:*** **ბურგოსი, ვივასი, აიალა, სენსინი, ძანეტი, ალმეიდა, სიმეონე, ვერონი, ორტეგა (დელგადო), ლოპესი (პინედა), ბატისტუტა.**
***გოლი:*** **ლოპესი (84)**

... მატჩის მიწურულს არგენტინელთა სათამაშო უპირატესობამ შედეგი გამოიღო — „მარაკანაზე“ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც კლაუდიო ლოპესი მარცხენა ფლანგზე ჟუნიორ ბაიანოს გასცდა, საჯარიმო მოედანში შეიჭრა და ძალიან მახვილი კუთხიდან ტაფარელს შორეულ კუთხეში გაუტანა. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ ამხანაგურ მატჩში...

გუნდები შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე. არგენტინელებს აკლდათ ტრავმირებულები ხოსე შამოტი და ერხან კრესპო. მასპინძლებმა კი დუნგა მოისაკლისეს, რომელიც გერმანელებთან მატჩში გაძევებულ იქნა. თუ შეხვედრის დებიუტი ნელ ტემპში და თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ამას ვერ ვიტყვით შემდგომში განვითარებულ მოვლენებზე — არგენტინელებმა თანდათან ხელთ იგდეს უპირატესობა და იგი მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. პასარელას ბიჭები მეტად გონივრულად და რაციონალურად ირჯებოდნენ და ზოგიერთ მომენტში ბურთიც კი „დაუმალეს“ მეტოქეს. საოცრად უსუსურად გამოიყურებოდა ბრაზილიელთა ფორვარდების დუეტი — რონალდომ და რომარიომ ვერაფერი გააწყვეს არგენტინელთა მცველებთან — ვივასის, სენსინის და აიალას წინააღმდეგ. სამაგიეროდ, სტუმართა თავდამსხმელები აქტიურობდნენ — ბატისტუტას და ძანეტის ჰქონდათ კარის აღების რეალური შესაძლებლობები, მაგრამ საიმედოდ გაისარჯა მეკარე ტაფარელი. მერე კი, მოხდა ის ეპიზოდი, რომელზეც მიმოხილვის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი.

მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ მისმა შედეგმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს მეტოქეთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების შემდგომ კარიერაზე: ბრაზილიაში სულ უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნები მარიო ზაგალოს განთავისუფლებაზე, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულ გაბრიელ პასარელას ეროვნული გმირივით დახვდნენ. ბუენოს-აირესის აეროპორტში მას თვით ქვეყნის პრეზიდენტი შეეგება.

## აკპობორი: „უმძიმესი ჩემპიონატი იქნება“

ნიგერიის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ჯონათან აკპობორი ახლა „შტუტგარტში“ თამაშობს. რას ფიქრობს იგი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ?

– იგი ჩვენთვის მეტად მძიმე იქნება. ჩვენი ყველა მოთამაშე ურთულეს ევროტურნირებში მონაწილეობდა და ძალიან დაიღალა. გარდა ამისა, ჩვენ ხომ „სასიკვდილო ჯგუფში“ მოვხვდით – ესპანელებს, ბულგარელებს და პარაგვაელებს უნდა შევხვდეთ. „შტუტგარტში“ მომავალი ოპონენტი – კრასიმირ ბალაკოვი თამაშობს. ხშირად ვსაუბრობთ 19 ივნისის ჩვენს მატჩზე ერთმანეთში „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე. კარგი იქნება, თუ ფრედ ვითამაშებთ და ორივე გუნდი მეოთხედფინალში გავა. რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დაკავება გვინდა. რა თქმა უნდა, ჩემპიონობაც, მაგრამ ამისათვის, ისეთ გუნდებს უნდა ვაჯობოთ, როგორიც ბრაზილიის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის ნაკრებებია. აქ ყველაფერი შეიძლება იღბალმა გადაწყვიტოს. უნდა დავამტკიცოთ, რომ ატლანტაში შემთხვევით არ მოგვიპოვებია ოლიმპიური ჩემპიონობა. კარგია, თუ ახლაც ჩემპიონები გავხდებით, ფრანგებს კი, დეე, ვერცხლის მედლები დარჩეთ. ფიქრობენ, რომ რონალდო ჩემპიონატის მთავარი გმირი გახდება, მე კი ვამჯობინებდი, რომ ასეთად რომელიმე ნიგერიელი აღიარონ.

## გადავა ეფენბერგი „ბაიერნში“?

*გერმანული „ბილდის“ ცნობით, ნაკრების ყოფილი წევრი, 29 წლის შტეფან ეფენბერგი, მომავალ სეზონში სულაც არ აპირებს ქვეყნის მეორე ბუნდესლიგაში თამაშს – მიონხენგლადბახის „ბორუსია“ კარგა ხანია განწირულია იქ სათამაშოდ. ეფენბერგს ამ გუნდთან კონტრაქტი ერთ თვეში დაუმთავრდება და იგი ახალი კლუბის ძიებაშია. მოარული ხმებით, მისი შეძენა მიუნხენის „ბაიერნს“ სდომებია. ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს შევხვდები და ჩემს მომავალზე ვისაუბრებთ“ – განაცხადა ფეხბურთელმა.*

# ნბა: კალათბურთელის ახალ პაკეტი – 2,5 მილიონი დოლარი!

ამერიკულ პროფესიულ კალათბურთში მოვლენებმა ძალიან საინტერესო ხასიათი მიიღო – მთავრდება პლეიოფის პირველი წრე, დაასახელეს აგრეთვე ნბა-ს წლის საუკეთესო ახალბედა და ყველაზე ქველი მოთამაშე. პირველ ნომინაციაში „სან-ანტონიოს" 213-სანტიმეტრიანმა ტიმ დანკანმა გაიმარჯვა. იგი ამ სეზონში საშუალოდ ერთ მატჩში 21,1 ქულას აგროვებდა. აი, ქველ მოთამაშედ კი „ატლანტას" თავდამსხმელი სტივ სმიტი აკურთხეს. ამ არცთუ ისე დიდი შემოსავლებით (სხვა ვარსკვლავებთან შედარებით) გამორჩეულმა კალათბურთელმა მიჩიგანის უნივერსიტეტს, სადაც იგი დაოსტატდა, 2,5 მილიონი დოლარი გადაურიცხა. ამბობენ, ამ თანხით სტუდენტებისთვის ახალი საკალათბურთო დარბაზი აშენდებაო.

რაც შეეხება პლეი-ოფებს, აღმოსავლეთ კონფერენციაში ასეთი მდგომარეობაა: მაიამი – ნიუ-იორკი 2-1, შარლოტი – ატლანტა 2-1, ინდიანა – კლივლენდი 2-1, დასავლეთში: მინესოტა – სიეტლი 2-1, ლეიკერსი – პორტლენდი 2-1, სან-ანტონიო – ფინიქსი 2-1.

## ჩოგბურთი

# მაგელანის ქვეყანაში, დევისის თასზე...

გუშინ გვიან საღამოს პორტუგალიის ქალაქ ბრაგაში საქართველოს ვაჟთა ნაკრები დევისის თასის მეორე ლიგის მეორე ზონის მატჩში პორტუგალიელ ჩოგბურთელებს შეხვდა. ამ წყვილში გამარჯვებული (ორთაბრძოლა, სავარაუდოდ, კვირას საღამოს დასრულდება) იუგოსლავია – ლატვიას შორის უძლიერესს შეხვდება, თავის მხრივ, დამარცხებულებიც ერთმანეთს შეერკინებიან. ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრებში არ თამაშობს ირაკლი ლაბაძე, რომელიც უიმბლდონისა და საფრანგეთის ტურნირებისთვის ემზადება. პორტუგალიაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავენ ვლადიმერ მარგალიტაძე, გივი სამხარაძე, ირაკლი კუნჭულია.




**2.V. საქართველოს I არხი:** „დრიბლინგი" (16.50). **საქართველოს II არხი:** „ავტოსპორტი" (20.20). **„რუსთავი-2":** სპორტული პროგრამა „ვარსკვლავები" (17.30). **„იბერია":** „ბურთი და მოედანი" (11.50 და 21.10). **OPT-1:** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (16.55), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. რუსეთი-ყაზახეთი. გადაცემა შვეიცარიიდან (23-45). **PTP:** მხატვრული ტანვარჯიში, ევროპის ჩემპიონატი (15.45). **HTB:** ფეხბურთი. საფეხბურთო კლუბი წარმოადგენს რუსეთის ჩემპიონატს (0.55). **TB центр:** მხატვრული ფილმი „Футбол нашего детства" (10.30). **საქართველოს ხმა:** მსოფლიო სტანდარტებზე (12.00), საჩოგბურთო ჟურნალი (20.00).

**3.V. საქართველოს I არხი:** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „დინამო" (თბილისი) – „მაღაროელი" (ჭიათურა) რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან (18.00). **საქართველოს II არხი:** „სუპერმატჩი" (20.00). **რუსთავი-2:** „ჟილეტ-სპორტი" (20.30). **კავკასია:** „ვარსკვლავები" (16.00). **OPT-1:** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.40). **PTP:** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი ( 0.40). **HTB:** სპორტული პროგრამა (0.30). **TV-6:** სპორტული მიმოხილვა (16.25). **PEH TV:** სპორტის სამყარო „ჟილეტის" თვალით (15.00), ფეხბურთი (15.30), სპორტ-კურიერი (20.30). **ევრიკა:** სპორტული პროგრამა „ლეგენდარული მილანი" (14.15), სპორტული კურიოზები (17.45). **საქართველოს ხმა:** საჩოგბურთო ჟურნალი (11.20), ჰოკეი. ნხლ-ის მატჩების მიმოხილვა (20.05), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური (20.45), სპორტული ვიქტორინა „ტოტო კონდორი" (22.30).

**4.V. საქართველოს I არხი.** საფეხბურთო მიმოხილვა (23.40). **საქართველოს II არხი:** გოლი (20.00). **კავკასია:** „ვარსკვლავები" (15.20). **OPT:** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. რუსეთი – ლატვია (19.00). **TB центр:** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატის ნახევარფინალი (23.25).

**5.V. საქართველოს I არხი:** კალათბურთი. პლეიოფები. „ვითა"- „აზოტი" (18.00), შესვენებისას „ლეგიონერი ხელბურთელი – ტიტე კალანდაძე". **კავკასია:** „ვარსკვლავები" (15.20). **OPT-1:** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატის შედეგები (13.55), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა – იტალია (0.00). **HTB:** საფეხბურთო კლუბი (18.35). **PEH TV:** სპორტ-კურიერი (0-15).

# მონატრება. ანუ საპარეზოში მეხსიერებისათვის

# ეს ცხენბურთია!



# ტარიელ მუჩიაშვილი



შარშან მხოლოდ 50 წელი შეუსრულდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლით, ენერგიით აღსავსე, მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან.

ტარიელ მუჩიაშვილს კარგად იცნობდა ჩვენი სპორტული სამყარო, როგორც ნიჭიერ ტანმოვარჯიშეს. იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. მერე სახელი გაითქვა სამწვრთნელო სარბიელზე და პედაგოგიურ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლაში, სადაც თავადაც აღიზარდა და სპორტის ოსტატი გახდა, არაერთი პერსპექტიული მოზარდი ტანმოვარჯიშე გამოავლინა და დაასოსტატა. მათ შორისაა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ალექსანდრე ლებედევი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ვასილ ბარნაბიშვილი, საერთაშორისო შეჯიბრებების არაერთგზის მონაწილე და პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ალექსანდრე თვაური. ამ ღირსეულ ადამიანს პატივს სცემდა ყველა, იმ საუკეთესო პიროვნული თვისებებისათვის, რომლითაც ასე უხვად იყო ბუნებისგან დაჯილდოებული. მისი ცხოვრების წესი იყო ადამიანებთან თბილი დამოკიდებულება, თანადგომა, გატანა, ნაღდი მეგობრობა.

ტარიელ მუჩიაშვილის ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების და აღზრდილების გულებში.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია,
ქ. თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს
ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტსკოლა.

# ირაკლი უბულავა



კიდევ ერთმა ტკივილმა დაგვზაფრა ლელოელები – 83 წლის გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ყოფილი რედაქტორი ირაკლი უბულავა.

ბატონი ირაკლი დიდი მიხეილ კაკაბაძის აღორძინებული პირველი ქართული სპორტული გაზეთის ღირსეული მემკვიდრე გახლდათ 50-იანი წლების მეორე და 60-იანი წლების პირველ ნახევარში. ეს იყო ქართული სპორტის აღმავლობის ეპოქის დასაწყისი – ქართველი ათლეტების მიერ ყველაზე უმაღლესი სპორტული მწვერვალების დაპყრობის, საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საყოველთაო რელსებზე გადასვლის პერიოდი. „ლელოს" საპატიო ამოცანა დაეკისრა – არა მხოლოდ აღენუსხა მიღწევები, არამედ თავადაც ეკისრა ორგანიზატორის როლი. იმ წლებში გაზეთმა მისი თავკაცის, ბატონ ირაკლის ხელმძღვანელობით და ჟურნალისტთა ნიჭიერი თაობის თანადგომით, წარმატებით გაართვა ამ ამოცანას თავი. უნარიანმა რედაქტორმა მაშინ ბევრ ახალგაზრდას დაულოცა გზა სამოღვაწეო ასპარეზზე, მისი თბილი, მეგობრული დამოკიდებულება ახალბედა კალმოსნებს შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევდა – სპორტი ხომ ერთადერთი სფერო იყო იმდროინდელი რეჟიმის ქვეყანაში, სადაც ჟურნალისტს ყოველგვარი შელამაზების გარეშე უნდა წარმოეჩინა სიმართლე.

ბატონ ირაკლის, როგორც მრავალმხრივ უნიკალურ პიროვნებას უამრავი მეგობარი ჰყავდა ყველა სფეროდან, სადაც კი უმოღვაწია. ახალგაზრდობაში გატაცებული იყო სპორტით და ხელოვნებით, მოწოდებით იყო თეატრალი, – უმუშავია სანდრო ახმეტელის დასში, წერდა საბავშვო და სათავგადასავლო მოთხრობებს, როგორც მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ წიგნად გამოსცა მოგონებები, „ლელოში" მოსვლამდე მუშაობდა „ახალგაზრდა კომუნისტში", იყო ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წიგნის გამომცემლობათა სამმართველოს უფროსი. დიდი და უანგარო ღვაწლისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ბატონ ირაკლი უბულავას ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, მის სახელს მოწიწებით მოიხსენიებს შთამომავლობა და ქართული სპორტის მემატიანე, როცა მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთებიდან საქართველოს წარსულ სპორტულ ცხოვრებას გაეცნობა.

ლელოელები


34


49


56


42

**თარაზულად:** 4. უნგრელი დიდოსტატი, 7. პოლონელი ძალოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 8. იტალიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 1970 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 10. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი 70-იან წლებში, 14. ესტონელი ძალოსანი, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი, 17. ქართული სარაგბო გუნდი, 19. ნორვეგიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 21. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი მოჭადრაკე ქალი, 23. თბილისის „დინამოსა" და სსრკ საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი 1975-82 წლებში, 24. ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი, 28. „ფეიენოორდის" პოლონელი ფეხბურთელი, 29. სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა, 30. წარსულში ცნობილი სომეხი სიგრძეზე მხტომელი, 32. ლეგენდარული ეთიოპიელი მორბენალი, 34. ქართველი მოკრივე, 1977 წლის ევროპის ჩემპიონი *(ფოტო)*, 35. „ბეტისის" და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 37. ჭიდაობის სახეობა, 38-39 ჩილელი ჩოგბურთელი, 42. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის Fide-ს ვერსიით, 43. სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული, 45. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი, 47. უნგრელი ძალოსანი, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი, 49. „ლივერპულის" გერმანელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 51. 1977 წლის სსრკ-ს საუკეთესო ფეხბურთელი, 52. სპორტული ინვენტარი. 53. ესპანეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 56. თბილისის „დინამოს" მცველი *(ფოტო)*, 58. 70-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი, 60. ძლიერი გატაცება, თავდავიწყება. 64. წარსულში გამოჩენილი ქართველი წყალბურთელი, 65. მინსკელი ფეხბურთელი, სსრკ ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 67. ცნობილი ქართველი მწვრთნელი ძიუდოში, 69. ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი.

**შვეულად:** 1. ინგლისური პრემიერლიგის ყველა დროის ბომბარდირი, 2. უნგრელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 1952 წლის ოლიმპიური და 1954 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 3. გერმანელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 5-12. ბრაზილიელი ჩოგბურთელი ქალი, უიმბლდონის პირველი სამხრეთამერიკელი ჩემპიონი, 7. რუსი დიდოსტატი, 1948-49 წლების სსრკ ჩემპიონი ვაჟთა შორის, 9. რუსი ტანმოვარჯიშე, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 11. „ჰიუსტონ როკეტსის" კალათბურთელი, 13. „ბლექბერნისა" და შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 16. მშვილდოსნის ინვენტარი, 17. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, 18. კოლუმბიის საფეხბურთო კლუბი, 19. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელი, 22. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 25 დოლიხოდრომი, 26. ბილიარდისნაირსახეობა, 27. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 31. ცნობილი ქართველი მწვრთნელი ფარიკაობაში, 33. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 34. ინგლისელი მორბენალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 1500-მეტრიან დისტანციაზე, 36. ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი, მცველი, 41. არგენტინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 1974 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელი, 42. „რეალის" ფრანგი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 44. ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ქალი, შემდგომში სპორტული კომენტატორი, 46. ესპანეთში მოთამაშე რუსი ფეხბურთელი, 47. „ფორმულა-1"-ის არგენტინელი პილოტი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 48. იალქნიანი სპორტული ნავი, 49. ქართველი მოჭიდავე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 50. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 54. რუსი მძლეოსანი, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 55. 1979 წლის სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, 59-66. სატანვარჯიშო იარაღი, 62. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 63. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი.

**დიაგონალურად:** 7-15. მსოფლიოს რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში, 20-9. ქართველი ფეხბურთელი, 1970 წლის სსრკ ჩემპიონატის ბომბარდირი, 65-57. საქართველოს საკალათბურთო კლუბი, 61-68. სათამაშო დროის პერიოდი სპორტის ზოგიერთ სახეობაში.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)



## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ბერგერი, 4. ბრიგელი, 7-8. კრივი, 11-12. დერბი, 14-15. ტურნირი, 16-17. ალბერტი, 24-25. რიოსი, 26. სვანი, 33-36. საბატინი, 37. არახამია, 40-43. ლატინინა, 44. კონსილია, 55-56. ჰენტო, 57. ეკელი, 64-65. ამოკაჩი, 66-67. ვიქტორი, 69-70. ატაცი, 71-72. პრიზი, 74. კაკულია, 75. შახლინი.

**შვეულად:** 1-19. კეინო, 2-20. შირეა, 6. სენსინი, 9-36. ჩიგორინი, 10-37. „მარაკანა", 13. ორლანდო, 14-34. ტორსიდა, 17-39. იაშვილი, 18-29. „აზოტი", 21-32. შხარა. 41-64. „აუსტრია", 43. ასპრილია, 44. კაჭარავა, 46-67. იანკერი, 47. ზვერევა, 48-60. გონგი, 51-63. ტრეკი, 52. კალგარი, 61. სკალა, 62. შტიხი.

**დიაგონალურად:** 3-27. ბრუმელი, 14-36. ტეილორი, 6-30. სტოპერი, 34-15. აპოლონი, 16-39. „არარატი", 35-22. ამორო, 23-38. აუიტა, 28-5. არბიტრი, 37-17. „ამირანი", 31-13. „ტორნადო", 42-58. იონკი, 41-65. ახტაევი, 68-49. „ადიდასი", 64-43. ატლანტა, 74-53. კემპესი, 59-45. „რეალი", 66-46. ვილნევი, 50-73. კონორსი, 44-67. კრანკლი, 54-76. რეკორდი.

## საჭადრაკო ამოცანა

ს. კირილოვი (რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:–

1. მe4!

1. ...მფ:e4 2. ლe6 მფd4 3. ლc4X.

2. ...მფf4 3. ლg4X.

1. ...მფd5 2. კd3 – 3. ლd6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე